# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ხუთშაბათი, 26 აპრილი. 2018 წ. №85 (8486), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს შვილები

### ვისაც ჯერ არს, იმათი მისამართით შევძახებ:

# გეყურებათ?!



3



4

ფინანსთა მინისტრის დიდი „აღმოჩენა“:

## ეკონომიკის განვითარებას თურმე ბანკები აფერხებენ...

## ანანიას პრეზერვატივები და დაკარგული სინდისი



სახიფათო ნოუ ჰაუ

7

## პრეზიდენტი პარლამენტში ანგარიშით 2 მაისს წარსდგება

საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები დაესწრებიან. ინფორმაციას ადასტურებს მთავრობის ადმინისტრაცია.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი პარლამენტში ანგარიშით 2 მაისს წარსდგება. რაც შეეხება პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატს და იქნება თუ არა დებატები, ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.



## მაისში საქართველოს ევროპარლამენტარები ეწვევიან

საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, თბილისში დაგეგმილია ევროპარლამენტის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის სხდომა.

მათივე ცნობით, დეპუტატები საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და გამოწვევებზე იმსჯელებენ. უსაფრთხოებისა და თავდაცვის ქვეკომიტეტის სხდომის გარდა, მაისში თბილისი უმასპინძლებს ევროპარლამენტში „საქართველოს მეგობართა ჯგუფის“ შეხვედრას. ევროპარლამენტარები ხურვალეთში საოკუპაციო ხაზსაც ეწვევიან.

## სტამბოლის უნივერსიტეტის რექტორი მუსტაფა აიდინი:

8



## რუსები თბილისის გეოპოლიტიკური კურსის შეცვლას კვლავ შეეცდებიან...



2

## „ტელეიმედის“ დარბევის ფაქტზე ერეკლე კოდუა პასუხისგებაში მიეცა



## პოლიციამ კასპში მომხდარი ყაჩაღობა ცხელ კვალზე გახსნა

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის და კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცხელ კვალზე გატარებული ოპერატიულ სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1969 წელს დაბადებული ჯ. ფ. და 1986 წელს დაბადებული ზ. ბ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით ცხელ კვალზე სოფელ აღაიანში დააკავეს. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მიმდინარე წლის 24 აპრილს, კასპის რაიონის სოფელ ფერმაში, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლს, იარაღის მუქარითა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით ფული, ოქროს სამკაულები და სხვა ნივთები გაიტაცეს, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.




პოლიციამ ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გატაცებული ოქროს სამკაულები თბილისში მდებარე ერთ-ერთი „ოქროს ბირჟიდან“ ნივთმტკიცებად ამოიღო. სამართალდამცველებმა, დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას კი ყაჩაღობის შედეგად წაღებული ნივთების ნაწილი ასევე ნივთმტკიცებად ამოიღეს.

## ექიმთა უფასო კონსულტაციები ფოთში

27 აპრილს ფოთის ამბულატორიულ ცენტრში მოწვეული მამოლოგი, გინეკოლოგი და პროქტოლოგი კიბოს სკრინინგის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობას კონსულტაციებს და კვლევებს უფასოდ ჩაუტარებენ. უფასო მამოგრაფიული კვლევა 40-70 წლის ასაკის ქალბატონებს ჩაუტარდებათ.

კონსულტაციის დღეს საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მიზნით შესაძლებელი იქნება 25-60 წლის ქალბატონებისთვის „პაპ ტესტის“ უფასოდ ჩატარება.

მოსახლეობის თხოვნით 27 აპრილს ფოთის ამბულატორიულ ცენტრში ალერგოლოგი და ოფთალმოლოგი პაციენტებს უფასოდ გასინჯავენ. ოფთალმოლოგიური კონსულტაციები 55 წელს გადაცილებული პაციენტებისთვის ჩატარდება.

**უფასო კონსულტაციებზე მოსახლეობას საშუალება აქვს წინასწარი ჩაწერით დაჯავშნოს ექიმთან ვიზიტი, ნომერზე: 0 493 22 00 12 / 592 85 85 85.**

# საქართველომ ევროკავშირთან და აშშ-თან ერთად რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის მიერ წარდგენილ დოკუმენტს მხარი დაუჭირა




**საქართველომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და აშშ-სთან ერთად, მხარი დაუჭირა უკრაინის მიერ წარდგენილ დოკუმენტს დროებით ოკუპირებული ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქი სევასტოპოლის ყირიმის ანექსირებულ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების შესახებ.**

საქართველომ მხარდაჭერა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სამართლებრივი კომიტეტის სხდომაზე დააფიქსირა. კერძოდ, საქართველომ დააფიქსირა პოზიცია, რომ **„არცერთ წევრ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ცალმხრივად და საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, აიძულოს სუვერენული სახელმწიფო, უარი თქვას იმ ვალდებულებებსა და უფლებებზე, რომლებიც IMO-ს კონვენციებიდან გამომდინარეობს.“**

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სამართლებრივი კომიტეტის 105-ე სხდომა ლონდონში მიმდინარეობს. კომიტეტზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ივანე აბაშიძე. შეხვედრაში ასევე მონაწილეობას იღებს საქართველოს ალტერნატიული წარმომადგენელი IMO-ში მერი ჩაკვეტაძე.

# პრესის თავისუფლების ინდექსში დავწინაურდით!



საერთაშორისო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2018 წლის პრესის თავისუფლების ინდექსში 180 ქვეყნიდან საქართველო სამი საფეხურით დაწინაურდა და 61-ე პოზიციაზეა, შარშანდელ რეიტინგში კი 64-ე ადგილი ეკავა.

**„საქართველოს მედია პლურალისტულია, თუმცა ჯერჯერობით ძალიან პოლარიზებულია. ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულმა რეფორმებმა გააუმჯობესეს მედიასაშუალების მფლობელობის გამჭვირვალეობა და სატელიტური ტელევიზიის პლურალიზმი, თუმცა მფლობელები ხშირად ერევიან სარედაქციო პოლიტიკაში“...**

# საპატრიარქო მხარს უჭერს



**საქართველოს საპატრიარქო მხარს უჭერს იდეას, რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა სისხლის სამართლებრივი წესით დასჯადი იყოს** — ეს განცხადება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა გააკეთა. რა იგულისხმება რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფაში, დეკანოზი ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებს და ამბობს, რომ კანონპროექტის ავტორებთან შეხვედრის შემდეგ გაარკვევენ, სად გადის ზღვარი შეურაცხყოფასა და სიტყვის გამოხატვის თავისუფლებას შორის.

**„საპატრიარქო იდეას მხარს უჭერს, რადგან ამის გამო ჩვენ ძალიან მწარე გაკვეთილები მივიღეთ. მართლა გასარკვევია, რა ითვლება შეურაცხყოფად, ზღვარი სად გადის, რისი უფლება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს და რისი უფლება შეიძლება არ ჰქონდეს“,** — აცხადებს მიქაელ ბოტკოველი.

# რა შემთხვევაში არ გაუშვებენ საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნიდან შენგენის ზონაში?

**„საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ კანონში ცვლილებები მომზადდა.**

ცვლილებების მიზანია, შენგენის ქვეყნებში იმ მოქალაქეთა გადინების შემცირება, რომლებიც უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობას არაკეთილსინდისიერად იყენებენ.

კერძოდ, თუ საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტზე დადგინდა, რომ საქართველოს მოქალაქე ევროკავშირის/შენგენის სივრცის იმ ქვეყანაში მიემგზავრება, რომელთანაც საქართველოს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს, მას შეიძლება საზღვრის გადაკვეთაზე უარი ეთქვას შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გააჩნია: — **ბიომეტრიული პასპორტი, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაშია გაცემული და რომლის მოქმედების ვადაც საქართველოში დაბრუნების დღისათვის არანაკლებ სამი თვეა; უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი; სასტუმროს-საცხოვრებელი ბინის მოქმედი ჯავშანი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი და მისამართი ან ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები მასპინძლის მისამართი; სამოგზაურო დაზღვევა და ასევე, მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი.**

დღეს მოქმედი კანონით, საქართველოს მოქალაქეს საზღვრის გადაკვეთაზე უარი იმ შემთხვევაში შეიძლება ეთქვას, თუ სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნება ან თუ ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს წარადგენს.

# ტყის ეკოსისტემის გაუმჯობესება აჭარისთვის უმნიშვნელოვანესია

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე სასტუმრო რედისონში გამართულ რეგიონალურ კონფერენციას — „მდგრადი მეტყევეობა — მდგრადი ადგილობრივი განვითარებისთვის“ დაესწრო. კონფერენცია აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან ერთად, გერმანიის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.**

მთავრობის თავმჯდომარემ კონფერენციაზე სიტყვით მიმართვისას მადლობა გადაუხადა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობას (WWF) და გერმანიის თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (BMZ) მხარდაჭერისთვის და მნიშვნელოვანი პროექტის აჭარის რეგიონში განხორციელებისთვის. ზურაბ პატარაძემ, თავის მხრივ, სტუმრებს რეგიონში აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ისეთ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია, რომლებიც დადებით როლს შეასრულებს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით: **„ჩვენ ვცდილობთ, რეგიონში განვახორციელოთ ისეთი პროექტები, რომლებიც შეამცირებს ტყეებზე ადამიანის ნეგატიურ ზემოქმედებას. ამ მხრივ, დაწყებულია უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას, ისტორიული პროექტი — მაღალმთიანი აჭარის გაზიფიკაცია, ალპური ბოტანიკური ბაღის გაშენება, მწვანე ტბის განვითარების პროექტი და სხვა. მნიშვნელოვანია ასევე სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარების მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე პროექტები, რომლებიც დადებითად იმოქმედებენ ტყის ეკოსისტემის შენარჩუნებაზე“,** — აღნიშნა ზურაბ პატარაძემ.

# ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახალი სასწავლო კორპუსი ექნება



**გუშინ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის საძირკვლის ჩაყრის ცერემონია გაიმართა. თანამედროვე სტანდარტების სამსართულიანი სასწავლო კორპუსი ლეონიძის ქ. №15-ში შენდება. მშენებლობისთვის ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტიდან 2 მილიონ 700 ათას ლარამდეა გათვალისწინებული. შენობის სამ სართულზე განთავსდება 27 აუდიტორია, კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი. კორპუსი ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე, მოეწყობა პანდუსი, დამონტაჟდება ლიფტი.**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსის მშენებლობის სერტიფიკატს უნივერსიტეტის რექტორთან ერთად ხელი მოაწერეს და საფუძვლის ჩაყრის სიმბოლურ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა.

# 2021 წლის ბოლომდე ბათუმს განახლებული იახტკლუბი ექნება

**2021 წლის ბოლომდე ბათუმის იახტკლუბი ექსპლუატაციაში შევა. პროექტს კომპანია „რივიერა“ განახორციელებს, რომელსაც ტერიტორია 20-წლიანი იჯარით გადაეცა. პროექტის განხორციელებისათვის კომპანიამ მინიმუმ 3 მლნ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.**

ხელშეკრულების მიხედვით, სრული საიჯარო ქირა სრულ სახელშეკრულებო პერიოდზე შეადგენს 1 ლარს.

ხელშეკრულების მიხედვითვე, „რივიერაზე“ გაიცემა ადმინისტრაციული დაპირება, თუ კი საიჯარო ხელშეკრულების გასვლის შემდეგ, სხვა კომპანიის მხრიდან არ იქნება ალტერნატიული უკეთესი წინადადება წარდგენილი, მაშინ „რივიერას“ შესაძლებლობა ეძლევა ხელშეკრულების გაგრძელება მოითხოვოს. მოიჯარე ვალდებულია, 9 თვეში უზრუნველყოს იახტკლუბის განვითარების პროექტის (ნავსაყუდელი, იახტკლუბი რესტორნით, პლაჟი, მშრალი დოკი, სახელოსნო, მცურავი საშუალებების (ნავი, იახტა და ასე შემდეგ) ტიპი, კლასი და რაოდენობა) შემუშავება.



# „ტელეიმედის“ დარბევის ფაქტზე ერეკლე კოდუა პასუხისგებაში მიეცა

საქართველოს პროკურატურამ ჩატარებული გამოძიების შედეგად, 2007 წლის 7 ნოემბერს სამაუწყებლო კომპანია „იმედში“ უკანონოდ შეჭრის და ტელეკომპანიის დარბევის ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (ს.ო.დ.) ყოფილი დირექტორი ე.კ. სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ბრალდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. აღნიშნულთან დაკავშირებით, პროკურატურაში ბრიფინგი ჩატარდა.

**„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს, ტელეკომპანია „იმედის“ მაუწყებლობის ეთერიდან გათიშვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა დანაყოფებთან ერთად, ტელევიზიის შენობაში შეიჭრა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, იგივე ს.ო.დ.-ის სპეცდანიშნულების რაზმი და ოპერატიული თანამშრომლები, რომელთაც ადგილზე ხელმძღვანელობდა ამავე დეპარტამენტის დირექტორი.**



**ტელეკომპანიის ძალისმიერი მეთოდებით დარბევის შედეგად, დაზარალებულად ცნობილია 13 პირი, მათ შორის უმრავლესობა არის „იმედის“ ჟურნალისტი. ტექნიკური საშუალებებისა და ინვენტარის განადგურების, დაზიანების, დაკარგვის, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით ტელევიზიის მატერიალურმა ზიანმა იმ პერიოდში შეადგინა 3 158 307 ლარი.**

**სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, ვინაიდან იგი თავს არიდებს საგამოძიებო უწყებაში გამოცხადებას და მის მიმართ მიმდინარეობს ძებნა, დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნული პირი მსჯავრდებულია ვალერი გელაშვილზე განხორციელებული თავდასხმის საქმეზე, რომელზედაც მიესაჯა 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა და ე.წ. „ავტომანქანების საქმეზე“, რომელზედაც მიესაჯა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.**

**„ტელეიმედის“ დარბევის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკვე მიეცა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, იუსტიციის და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრები, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული აღნიშნული ქმედებების ორგანიზებაში. მათი ბრალდების საქმე არსებითად იხილება თბილისის საქალაქო სასამართლოში.**

**2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებთან, მათ შორის „ტელეიმედის“ დარბევასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულ სხვა პირთა გამოვლენის მიზნით“,** — აცხადებენ პროკურატურაში.

◉ გაზაკ, ძმაო, ეს შენა ხარ!..

# ვისაც ჯერ არს, იმათი მისამართით შევძახებ: გეყურებათ?!



ნოსტალგია!!!!

მიშა ანდღულაძემ თავის ფბ-გვერდზე ისეთი მოგონება გამოაქვეყნა, რომ არცერთ ნორმალურ ადამიანს არ დატოვებს გულგრილს.

ფაქტიურად, ეს არის „ოდა“ მეგობრობაზე, მოფერება იმ ურთიერთობაზე, რომელიც უახლოეს წარსულში სუფევდა ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ ეს ურთიერთობა გახლდათ სამშობლოს კეთილდღეობის და მომავალი სიძლიერის ფუნდამენტი. სწორედ ამ დულაბის მოშლა იყო გარეშე მტრის და შინაური ბრიყვების მიზანი. და მათ ეს მოახერხეს.

შედეგი, სავალალო,ეროვნულ უბედურებამდე მისული დღევანდელობა სახეზეა. ამ რეალობას მხოლოდ ვიშვიში, გულზე ხელის ბრაგუნი, სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელოები და უმწიფარ თუ ლაყბობის მოყვარულ პოლიტიკოსთა ცანცარი ვერ უშველის.

ნდობის აღდგენაა საჭირო. ესაა მთავარი და სწორედ ამ განწყობის გაღვივებას ემსახურება ეს გულწრფელი მოგონება, რომლის სამოცამდე სტრიქონი, უნდა გამოვტყდე, ბარე ჩვეულებრივ ათ სქელტანიან რომანს, ასეთივე ას ლექსს, მით უმეტეს, ათი ათას ე.წ. დიპლომატურ ნოტას მირჩევნია.

სწორედ ამ ურთიერთობის აღდგენა უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის ამოსავალი წერტილი.

ვისაც ჯერ არს, იმათი მისამართით შევძახებ: გეყურებათ?!

P. S.: ისე, რაც მეტი მეგობარი გაავრცელებს ამ პუბლიკაციას, რაც მეტი ადამიანი გაიზიარებს და შეუერთდება ამ სულისკვეთებას, მით უფრო დაჩქარდება ძმებს შორის ჩატეხილი ნდობის ხიდის აღდგენის პროცესი.

კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც წინ!!!!

* * *

აქვე გთავაზობთ მიშა ანდღულაძის წერილს:

— კომუნისტების დროს, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სოხუმის აეროპორტები საქართველოს აეროფლოტს ეკუთვნოდა და მფრინავები ყველა ერთმანეთს კარგად იცნობდა. თბილისის აეროპორტში პილოტი ოსი იყო, გაზაევი — გაზაკა. სოხუმის აეროპორტში კი აფხაზი სლავა ეშბა.

მოკლედ, აირია 90-იანებში ქვეყანა, დაიწყო აფხაზეთის ომი. თბილისელი პილოტები ქართულ ჯარს ეხმარებიან, და ფრენენ ბაბუშერაში, სლავა ეშბა კი აფხაზური საჰაერო ძალების სარდალი გახდა და აფხაზების მხარეს იბრძვის.

1993 წლის ადრე გაზაფხულია. ბაბუშერადან „ტუ 134“ აფრინდა დაჭრილი ჯარისკაცებით გადატენილი. პილოტი ზუსტად ის ოსი გაზაკაა, გაზაევი. ძალიან თავისებური, სპეციფიური ხმა აქვს გაზაკასო, — ამბობენ. აფრენიდან რამდენიმე წუთში თვითმფრინავის რადარმა დააფიქსირა კუდის მხრიდან მისკენ მოძრავი მფრინავი ობიექტი. მიახლოების სიჩქარით მიხვდა გაზაკა, რომ სამხედრო თვითმფრინავია და თან აფხაზური ან რუსული, რადგან ახლომახლო ქართული თვითმფრინავი არ დაფრინავს, ზუსტად იცის. თბილისს გადმოსცა, ზურგიდან სამხედრო თვითმფრინავი მიახლოვდება და, სავარაუდოდ, ჩამოგვაგდებსო. „ტუ 134“ ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მანევრირების მქონე თვითმფრინავია და რომ გაექცე სამხედრო თვითმფრინავს ან რაიმე მანევრით აიცილო ნასროლი რაკეტა, ან სწრაფმსროლი ავიანალმები, წარმოუდგენელია. მოკლედ, გადარჩენის შანსი ნულია. მოკლედ, მორჩა გაზაკა თბილისისთვის ინფორმაციის მიწოდებას და სიხშირეზე უცხო ხმა ჩაერთო:

**— გაზაკ, ბრატ, ეტა ტი?**

**გაზაკა ყვებოდა — ჯერ ვიფიქრე, შიშისგან მეჩვენებაო, მაგრამ შეკითხვა გაიმეორაო.**

**— და, ეტა ია, — უპასუხა გაკვირვებულმა.**

**— ეტა ია, სლავა ეშბა, — გაისმა ყურსასმენში.**

**— პრივეტ, სლავა! — სხვა თურმე ვერაფერი მოიფიქრა და მიესალმა დაბნეული გაზაკა...**

**— პრივეტ! ვოტ ი სვიძელის, ბრატ! — ეუბნება აფხაზი.**

**— პრივეტ, ბრატ! პრივეტ! ი ჩტო დალშე? — უპასუხა გაზაკამ და უარესისთვის გაემზადა.**

**— დალშე? დალშე ნიჩევო!! დალშე ჟივი, ბრატ! ჟივი! — უპასუხა აშბამ, „ტუ 134“-ს ქვევიდან, მუცლის ქვეშ ამოუფრინა დიდი სიჩქარით, გაასწრო, მერე სიმაღლე აკრიფა, მარცხენა ვირაჟით წრე მოხაზა და უკან, სოხუმისკენ გაფრინდა. რაციაც დადუმდა...**



**ნუგზარ ფოფხაძე**

## მერია ავტოფარეხების მაგივრად სკვერებს გააშენებს



**თბილისის მერი ინიციატივით გამოდის, ქალაქში არსებული ავტოფარეხები აიღონ და მათ ნაცვლად ბაღები, სკვერები და სპორტული მოედნები გაშენდეს. განცხადება კალაძემ გუშინ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე გააკეთა და თბილისის მთავრობის წევრებს მოუწოდა, თავიანთი რაიონების მოსახლეობასთან აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაცია აწარმოონ. მინდა, გთხოვოთ და დავიწყოთ მუშაობა.** ყველა რაიონში და უბნებში არსებობს ავტოფარეხები, რომლებზეც მგონია, რომ საინტერესოა პროექტების განხორციელება. მინდა, გთხოვოთ, რომ დაიწყოთ კომუნიკაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და თუ მოსახლეობის სურვილი იქნება, ჩვენ მზად ვართ ამ ავტოფარეხების ადგილზე გავაშენოთ სკვერები, ბაღები და სპორტული მოედნები. ყველა ხარჯს თავის თავზე თბილისის მერია აიღებს. ჩვენ ბევრს ვმუშაობთ, რომ არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა გამოვასწოროთ. სერიოზული პრობლემები გვაქვს და მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება.

## მიწისქვეშა პარკინგები: ქალაქში 10 ლოკაცია შეირჩა

გეგეშიძის ბაღის, რკინიგზის სადგურისა და ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიებზე მიწისქვეშა პარკინგის მოწყობაზე ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდება. ამის შესახებ თბილისის მერმა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

**„ქალაქში მოსაწესრიგებელია პარკინგების სისტემა. ასაშენებელია როგორც მიწისზედა, ასევე, მიწისქვეშა პარკინგები და ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიწყებთ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას. კვლევა არის ჩატარებული და შერჩეულია 10 კონკრეტული ლოკაცია ქალაქში, სადაც შესაძლებელია მიწისქვეშა პარკინგის პროექტის განხორციელება და დღეს გამოგვაქვს სამი ლოკაცია. საუბარი ეხება გეგეშიძის ბაღის, რკინიგზის სადგურისა და ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიებს. ჯამში სამივე ტერიტორიაზე 715 საპარკინგე ადგილის მოწყობა არის შესაძლებელი“...**



## ჯანმრთელობის ყოველთვიური ფესტივალი – თბი-ლისში

**ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით, თბილისის მერია იწყებს ყოველთვიურ ფესტივალს — „თბი-ლისი“, რომელიც სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს მოიცავს და მასობრივი სპორტის განვითარებას ემსახურება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ გუშინ, დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

თბილისის მერის თქმით, ფესტივალი 28 აპრილს დაიწყება და მომდევნო 6 თვის განმავლობაში ყოველი თვის ბოლო შაბათ დღეს, ლისის ტბაზე გაიმართება.

## რუსთაველის გამზირზე ახალი ხე-მცენარეები დაირგვება



**დედაქალაქის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური რუსთაველის გამზირზე ახალი ხე-მცენარეების დარგვას გეგმავს. პარლამენტისა და მაგთის შენობის წინ მდებარე პარკებში ჯამში 12 ძირი ჩვეულებრივი უთხოვარი, 22 ძირი წვრილფოთოლა ბზა კულტივარი და 9 ძირი ფოტინია კულტივარი დაირგვება.**

საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში, რუსთაველის გამზირზე უკვე დასრულდა ხეების სხვლა-ფორმირება, მოწესრიგდა არსებული მწვანე თარგები, გამოიწვალა 500 კვადრატული მეტრი მწვანე საფარი, მოეწყო სარწყავი სისტემები, დაირგო 11 124 ძირი ბეგონია, ტაგიტესი და იმპატიენსი, ასევე, ზოგიერთ მწვანე თარგში არსებული მცენარეები 50 ძირი მწვანე აუკუბათი და 20 ძირი ფოტოსპორუმით ჩანაცვლდა.

## კახა გულედანი სამგორის რაიონს უხელმძღვანელებს

**თბილისის მერმა სამგორის რაიონის გამგებლობის კანდიდატად კახა გულედანი წარადგინა. გულედანის კანდიდატურა საკრებულოში გუშინ გადაიგზავნა და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ ის თანამდებობაზე დამტკიცდება.**

როგორც კახა კალაძემ თბილისის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, გულედანს სამთავრობო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება აქვს. შეგახსენებთ, რომ სამგორის რაიონის ყოფილი გამგებელი რამდენიმე დღის წინათ თანამდებობიდან გადადგა. ოფიციალურ მიზეზად სამუშაოების შესრულების გამო არსებული ჩამორჩენები დასახელდა.



## საქართველოს დაცული ტერიტორიები 1,1 მლნ ევროს ოდენობის გრანტს მიიღებს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სამმხრივი საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს 8 დაცული ტერიტორია კავკასიის ბუნების ფონდიდან 1 100 000 ევროს ოდენობის გრანტს მიიღებს. ხელშეკრულებას ხელი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ გელა ხანიშვილმა, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვალერიან მჭედლიძემ და კავკასიის ბუნების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯორჯ ჯაკომინიმ მოაწერეს.**

საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება; განახლდება ავტოპარკი, რაც ხელს შეუწყობს რეინჯერთა საქმიანობის უკეთ განხორციელებას და უზრუნველყოფს სამართალდარღვევათა უფრო ეფექტიან გამოვლენას.

## ცოფის დიაგნოსტირებაზე სტუდენტებს პრაქტიკული სწავლება ჩაუტარდათ

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ ლაბორატორიაში სტუდენტებს ცოფის დიაგნოსტირების პრინციპები გააცნეს.**

აგრარულ უნივერსიტეტთან არსებული პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ლაბორატორიის დიაგნოსტირების თითოეულ პროცედურას დეტალურად გასცნობოდნენ. სტუდენტები პათმორფოლოგიისა და ცოფის კვლევის ლაბორატორიაში იმყოფებოდნენ. მათ დაავადების სპეციფიკის შესახებ ლაბორატორიის სპეციალისტებისაგან ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს.

**თქვენი არ ვიცი, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ მე პირადად ოჯახში ტელევიზორის „რუსთავი-2“-ზე გადართვას ყოველთვის ვერიდები. ალბათ მიმიხვდით, რატომ ვერიდები, — გარანტია არა მაქვს, რომ ნაპროკურორალი იქედნე ნიკა გვარამია და საყურიანი კონჩიტა გიორგი გაბუნია რაიმე ახალი პასკვილის „გახმიანებით“ სატელევიზიო სივრცეს ერთიანად არ დააბინძურებენ, ან კიდევ ევროპა-ამერიკაში უსაქმურად მოყიალე სააკაშვილს ეკრანზე არ გამოაჭენებენ და საქართველოს უნიათო ხელისუფლებას შარახვეტია ნაპრეზიდენტალის მორიგი ლანძღვა-ფურთხებით არ აავსებენ.**

ნაცნობი სცენარი ამას წინათაც განმეორდა, ჰოლანდიაში ჩასიძებული პოლიტგასტროლიორი სააკაშვილი „რუსთავი-2“-ის ეთერში ცოლეურების დედულეთიდან ჩაერთო, როგორც სჩვევია ხოლმე, პირი აიქაფა, ქართველ ბანკირებს ებდღვნა და სულ ჩარჩები, მევახშეები და წურბელები ეძახა. მათი ლანძღვით გული რომ იჯერა, მერე მილიარდერ ივანიშვილსაც გადასწვდა, — ეგა და ბანკირი მამუკა ხაზარაძე ერთად წუწნიან საქართველოს სიმდიდრეს და ამიტომ არის ჩემი მშობლიური ქვეყანა ასე დაქცეული, ხალხი კი გაფცქვნილ-გალატაკებულიო. მე ჩემ ხალხს ამ გასაჭირში არ მივატოვებ, უეჭველად დავბრუნდები საქართველოში, „ოცნებას“ წირვას გამოვუყვან და ქვეყანას განადგურებისგან ვიხსნიო, — დაგვაიმედა ოღრაშმა სააკაშვილმა.

ჩვენი ბანკირები რომ მევახშეები და წურბელები არიან, ამას სააკაშვილს აღმოჩენად ვერ ჩავუთვლი, ამის თაობაზე პირადად მე, არაერთგზის გამოვსულვარ პრესაში. აი, იმას კი, თუ აგვიხსნის თავის მმართველობის პერიოდში ფრთიან ანგელოზებად მონათლული მევახშე ბანკირები, მათ შორის მამუკა ხაზარაძეც, ოცნებელთა ხელში ერთბაშად როგორ იქცნენ ქვეყნის მძარცველებად, გინესის წიგნში „შეტენვა“ არ ასცდება. რეალობა თუ გაინტერესებთ ის გახლავთ, რომ იმ რბევა-მძარცველობის წლებში, ვინც სააკაშვილის ბანდასთან იყო მიხუტებული და ძაღლთაპირი ნაცების ცოცხსა და დაყაჩაღებას გადაურჩა, სწორედ ქვეყნის საბანკო სისტემა იყო, რომელიც იქიდან მოყოლებული დღემდე, ზემოგებით მუშაობს.

ასეა, ქვეყანა ვერც ნაცების მმართველობის პერიოდში ამოვიდა გაჭირვებიდან და ვერც ქოცების. ბანკები მაშინაც მილიონებში ცურავდნენ და ახლაც. კომერციული ბანკები საკუთარი აქტივების გასაზრდელად შესანიშნავად იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას — თავიანთი კაპიტალის დიდი ნაწილი განათავსონ არაპროფილურ ბიზნესში. რა დასამალია, მას შემდეგ რაც ბანკებს ამ კანონით ხელფეხი გაეხსნათ, დაიწყეს ბიზნესის ანექსია, რომელიც ახლაც წარმატებით გრძელდება. დღეს ბანკები ფლობენ სადაზღვევო კომპანიებს, სამშენებლო და სამედიცინო დაწესებულებებს, ღვინის კომპანიებს, ტურისტულ სააგენტოებს და კიდევ რას აღარ. ამის შემდეგ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ბანკი კრედიტის გაცემის პრიორიტეტს საკუთარ კომპანიას მიანიჭებს (ფაქტობრივად, ასეც ხდება) და არა, კონკურენტს, რომელიც ბანკში სესხის ასაღებად მიდის.

აღარაფერს ვამბობ ბანკების მიერ გაცემული კრედიტების საპროცენტო განაკვეთების თაობაზე (ჩვენთან ეს პროცენტი 5-ჯერ და მეტად მაღალია, ვიდრე უცხოეთის ქვეყნებში) და აქედან გამომდინარე, იმ მძიმე ურთიერთობაზე, რაც ბანკებსა და კრედიტორებს შორის იქმნება. ლაპარაკია, უპირველეს ყოვლისა, ბანკების მიერ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც კაბალურია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის გამოკვლევით, სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოს მოსახლეობა მისი შემოსავლებიდან ვალების მომსახურებისთვის ყველაზე დიდ ნაწილს იხდის. იმავე გამოკვლევით ირკვევა, რომ ჩვენთან ყოველი ათასიდან ბანკის ვალი 676 ადამიანს აქვს. ბანკების მსხვერპლთა რიგშია საქართველოს ათეულათასობით იპოთეკური სესხის მქონე მოსახლეობა, რომელთაც ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში უბინაოდ დარჩენის საშიშროება ემუქრებათ. აკი უამრავი დარჩა კიდეც ქუჩაში.

**არადა, ხელისუფლებაში მოსვლამდე „ოცნების“ თავკაცობა, პირადად ბიძინა ივანიშვილი ბანკების მიერ უსინდისოდ გაძარცვულ მოსახლეობას აიმედებდა, რომ მათ ექნებოდათ უფასო ფული, ანუ დიდი კრედიტები ნულოვანი პროცენტით. ეს იყო დაპირება, მაგრამ „ოცნების“**

**გახელისუფლებიდან 5 წლის თავზე რა მივიღეთ?! 2018 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ფიზიკური პირების სესხებმა კომერციული ბანკების მიმართ შეადგინა 19,7 მილიარდი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით 1,4 მილიარდით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 6,4 მილიარდით არის გაზრდილი. ეს იმ დროს, როდესაც შარშან კომერციული ბანკების სუფთა მოგებამ 870 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2016**




# მთავრობას როგორღაც თვალი აეხილა!

## ფინანსთა მინისტრის დიდი „აღმოჩენა“: ეკონომიკის განვითარებას თურმე ბანკები ამუხრუჭებენ...

**წლის მაჩვენებელზე 191 მილიონი ლარით მეტია(!)**

ამ სევდიან ფონზე, როცა ჩვენი „დიდგვაროვანი“ ჩინოვნიკები და ბანკირები წლების მანძილზე არამი მილიონების ჩაჯიბვაში ერთმანეთს შეხმატკბილებულად ეჯიბრებოდნენ, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა ფინანსთა ახალი მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკას ამუხრუჭებს. „უტაქტო“ მინისტრის მოულოდნელმა თავდასხმამ, ბუნებრივია, ზომაზე მეტად გააღიზიანა გემრიელ ცხოვრებას მიჩვეული ჩვენი მსუნაგი ბანკირები. პირველი „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე გაბრაზდა, არაფერი შეგეშალოთ, საბანკო სექტორი არ არის საინვესტიციო ინსტრუმენტი, ის გახლავთ საკრედიტო ინსტიტუტი და მას ყველაფრის დაფინანსებას ნუ მოვთხოვთო! ქართულმა საბანკო სისტემამ ქვეყანაში ასეულობით მილიონი დოლარი შემოიტანა, ამას დანახვა სჭირდება და არა, უმადურთა მხრიდან კრიტიკაო!..

მაინც რა თქვა ფინანსთა მინისტრმა ისეთი, რომ ბანკირთა ერთფეროვანი აპილპილება გამოიწვია? „საქართველოს საბანკო სისტემა, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ, — უნდა იყოს არა ეკონომიკის განვითარების მუხრუჭი, არამედ მისი მამოძრავებელი ძალა, თუმცა სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მივიღეთ რეალობა, სადაც ბანკები არ ასრულებენ ამ მამოძრავებელი ძალის ფუნქციას“. რა არის ამაში ტყუილი ან მოგონილი? ის, რომ ღარიბ, განვითარებად საქართველოში ჩვენი მევახშე ბანკები წლიდან წლამდე მსოფლიოში ყველაზე დიდ და არანორმალურ მოგებას იღებენ, თუ ის, რომ ქართული ეკონომიკა სულს ღაფავს და უმუშევრობამ და ყოველდღიურად ფასების ზრდამ ქვეყანაში ყველაფერი წალეკა?!

მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, ბოლო ათწლეულის მანძილზე რას აკეთებდნენ როგორც ნაცები, ისე ქოცები ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად? ერთნიც და მეორენიც გვეტრაბახებოდნენ, ხომ ხედავთ, რეფორმებს ვახორციელებთ, მცირე და საშუალო ბიზნესს ვავითარებთ, ვხსნით ახალ საწარმოებს (სააკაშვილი ხომ ერთი და იგივე საწარმოს 2-3-ჯერაც ხსნიდა), ვასაქმებთ ადამიანებს, რის შედეგსაც მალე საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთო. ეს სიტყვით, მაგრამ საქმით მეწარმეობის ნაცვლად, რომელმაც უნდა შექმნას ეკონომიკა და ახალი სამუშაო ადგილები, ფაქტობრივად, ავითარებდნენ საბანკო და სამედიცინო-ფარმაცევტულ მონოპოლიას, რომლის ნაყოფსაც ხალხი ვერა, მაგრამ თავად მთავრობის მსახურნი და მსუნაგი ბანკირები საკმაოდ ხვავრიელად იმკიდნენ.

ასეთი რეფორმანობანა დღემდე გრძელდებოდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მთავრობას თვალი აეხილა (ღმერთმა ინებოს!) და მცირე და საშუალო მეწარმეობისადმი კონკრეტული საქმით მიხედვა გადაწყვიტა. მათთვის ყველაზე კარგი დახმარება კი ის იქნება, თუ ბიზნესის ახლად წამომწყებთ საწყის კაპიტალზე ხელმისაწვდომობა ექნებათ. სწორედ ამას ჩასჭიდა ხელი ფინანსთა მინისტრმა. მისი თქმით, დღეს ბევრი საინტერესო პროგრამა და ბიზნესიდეა ვერ ხორციელდება იმის გამო, რომ სასტარტო კაპიტალზე წვდომა არის გართულებული. ეს პრობლემა რომ გადაწყდეს, საჭიროა სწორედ საბანკო სისტემის ჩართულობა, რათა მოხდეს ამ დამატებითი ფინანსური რესურსის ათვისება.

ექსპერტთა დიდი ნაწილი იწონებს ფინანსთა სამინისტროს ამ ინიციატივას და მოითხოვს ქვეყნის ეკონომიკაში ბანკების პარპაშის ერთხელ და სამუდამოდ დასრულებას. უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო კოდექსში უნდა გაუქმდეს და მოისპოს ყველა ის შეღავათი, რომლის საშუალებითაც ბანკები მონსტრებად გადაიქცნენ. ისინი ჩვეულებრივ გადამხდელებად უნდა დარეგისტრირდნენ და საბანკო საქმიანობის გარდა ყველა სხვა ბიზნესსაქმიანობა აეკრძალოთ.

ბანკებს ეკონომიკაზე პარპაშის ყოველგვარი ვადა ამოეწურათ. თუ „ოცნების“ ხელისუფლებას საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება სურს, ბანკები აუცილებლად უნდა ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, სადაც ისინი ყოველგვარი პრივილეგიებისა და საგადასახადო შეღავათების გარეშე, ცივილიზებულად გააგრძელებენ მუშაობას. აბა როგორ, ბატონებო, მთავრობა მოვალეა მონოპოლისტი ბანკები, რომლებიც აგერ უკვე ათეული წლებია, საქართველოში კანონზე მაღლა დგანან, ბოლოს და ბოლოს კანონის ჩარჩოებში მოაქციოს და ამ გზით ბანკირებს უღარიბესი ხალხის ძარცვის მადა დაუკარგვინოს.



**ოთარ ხუციშვილი**

**ასეთი რეფორმანობანა დღემდე გრძელდებოდა, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მთავრობას თვალი აეხილა (ღმერთმა ინებოს!) და მცირე და საშუალო მეწარმეობისადმი კონკრეტული საქმით მიხედვა გადაწყვიტა. მათთვის ყველაზე კარგი დახმარება კი ის იქნება, თუ ბიზნესის ახლად წამომწყებთ საწყის კაპიტალზე ხელმისაწვდომობა ექნებათ. სწორედ ამას ჩასჭიდა ხელი ფინანსთა მინისტრმა. მისი თქმით, დღეს ბევრი საინტერესო პროგრამა და ბიზნესიდეა ვერ ხორციელდება იმის გამო, რომ სასტარტო კაპიტალზე წვდომა არის გართულებული. ეს პრობლემა რომ გადაწყდეს, საჭიროა სწორედ საბანკო სისტემის ჩართულობა, რათა მოხდეს ამ დამატებითი ფინანსური რესურსის ათვისება.**

## ფინანსთა მინისტრი აშშ-ში ქართული კომპანიების ინვესტორებს შეხვდა

**ვიზიტის ფარგლებში ფინანსთა მინისტრმა სხვა მნიშვნელოვან შეხვედრებთან ერთად ბიზნესლანჩი გამართა იმ ინსტიტუციურ ინვესტორებთან, რომლებსაც განხორციელებული აქვთ ინვესტიციები ქართულ კომპანიებში. შეხვედრაზე მინისტრმა ისაუბრა განხორციელებული და ახლო მომავალში დაგეგმილი რეფორმების შესახებ.**

**საქართველოს ფინანსთა მინისტრი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებსაც შეხვდა, სადაც საქართველოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და პოზიტიურად შეაფასეს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დინამიკა.**

**საქართველო ბუნების სტიქიური პროცესების განვითარების მასშტაბებით, დროში განმეორებადობით, მოსახლეობის, ინფრასტრუქტურული ობიექტების საშიშროების რისკით, მიწის რესურსების კატასტროფული დანაკარგებითა და ეკონომიკური ზარალით მთიან მხარეთა ურთულეს რეგიონს განეკუთვნება.**

**მრავალი სახის სტიქიური მოვლენებიდან, რომლებიც პერიოდულად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებენ ქვეყანას და ხშირად მთავრდება ადამიანის მსხვერპლით, დომინანტ ადგილს იკავებენ მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები, ღვარცოფები და მასთან დაკავშირებული წყალმოვარდნები, თოვლის ზვავები, წყალდიდობები, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიული პროცესები. სტიქიური პროცესებით მეტ-ნაკლები სიძლიერით დაზიანებულია თითქმის ყველა მორფოლოგიურ-კლიმატური ზონა — დაწყებული კოლხეთის დაბლობის ზღვისპირეთიდან და დამთავრებული მაღალმთიანი ალპურ-ნივალურით. ქვეყანაში აღრიცხულია 50 000-ზე მეტი სხვადასხვა მასშტაბის მეწყრული უბანი, 3 000-ზე მეტი ღვარცოფული წყალსადინარი (მდინარე, ხევი) და რამდენიმე ასეულ კილომეტრზე მდინარეებისა და ზღვის ნაპირების წარეცხვის მონაკვეთი.**







რეცენზია

# ბუნებრივი კატასტროფების ანალიზი, პროგნოზი და რისკების მართვა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გივი გავარდაშვილის სამეცნიერო ციკლი — **„ბუნებრივი კატასტროფების ანალიზი, პროგნოზი და რისკების მართვა კლიმატის ცვლილების ფონზე“,** წარმოდგენილია ოთხი სამეცნიერო ნაშრომით: **1. მდინარე დურუჯის ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსდამცავი ინოვაციური ღონისძიებები (მონოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018, 260 გვ.); 2. ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები (მონოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011, 236 გვ.); 3. ტყის ხანძრებისაგან დაცვის მეთოდური რეკომენდაციები (სამეცნიერო რეკომენდაციები, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017, 82 გვ.); 4. ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია (სახელმძღანელო, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2018, 410 გვ.),** რომლებიც სწორედ რომ ზემოთ დასმული პრობლემების გადაწყვეტას წარმოადგენს ახალი თანამედროვე მიდგომებითა და ინოვაციური-საინჟინრო ღონისძიებების გამოყენებით.

პირველი სამეცნიერო ნაშრომი „მდინარე **დურუჯის ეკოლოგიური პრობლემები და გარემოსდამცავი ინოვაციური ღონისძიებები“,** რომელიც ეხება ქ. ყვარლის მოსახლეობის უსაფრთხოებას მდინარე დურუჯის კალაპოტში ფორმირებული წყალდიდობებისა და ღვარცოფებისაგან, წარმოადგენს ავტორის მიერ 35 წელზე მეტი სამეცნიერო კვლევის შედეგს. ნაშრომში წარმოდგენილია ღვარცოფების რეგულირებისათვის დაზუსტებული ჰიდროლოგიური პროგნოზი საიმედოობისა და რისკის თეორიის გამოყენებით. ღვარცოფების რეგულირებისათვის განხილულია ახალი, ინოვაციურ-საინჟინრო კონსტრუქციები, რომელთაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნიათ, ესენია ტრამპლინის ტიპის გამჭოლი ნაგებობების ახალი კონსტრუქციების მთელი რიგი, რომელთა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის პრიორიტეტებიც დამოწმებულია საზღვარგარეთისა და საქართველოს 22 პატენტის მოწმობით.

ახალი, ინოვაციური ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობის პრიორიტეტები არსებულთან შედარებით გახლავთ ნაგებობების საიმედოობის გაზრდა ნაკადის მაქსიმალური დინამიკური დარტყმის ძალის შემცირების ხარჯზე, განსაკუთრებით, ნაკადის პარამეტრების კატასტროფული მნიშვნელობებისას, აგრეთვე მისი კონსტრუქციულად გამარტივება და გაიაფება. მონოგრაფიაში წარმოდგენილია კლიმატის ცვლილების მდინარე დურუჯის წყალშემკრებ აუზში მთის ფერდობების ეროზირებული პროცესების პროგნოზი ფერდის დაზიანების ხარისხისა და დროის ფაქტორის მხედველობაში მიღებით. ნაშრომში წარმოდგენილია ეროზიული პროცესების, თოვლის ზვავის, წყალმოვარდნების რეგულირებისათვის ახალი საინჟინრო და ბიო-საინჟინრო ღონისძიებები, ასევე მათი დაპროექტებისათვის გაანგარიშების მეცნიერული მეთოდოლოგია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მონოგრაფიაში მსოფლიო საინჟინრო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, პირველად, შეფასებულია ეროზიულ-ღვარცოფული პროცესებისა და ტრამპლინის ტიპის ღვარცოფსაწინააღმდეგო ნაგებობების მწყრობრიდან გამოსვლის რისკი




კატასტროფების მათემატიკური თეორიის გამოყენებით, რომელიც აღნიშნული პროცესების თვისობრივი და ხარიხობრივი პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

პროფესორ გ. გავარდაშვილს მონოგრაფიაში დამუშავებული აქვს მდ. დურუჯის ღვარცოფებისგან ქ. ყვარლის მოსახლეობის დაცვის ღონისძიებათა კომპლექსური სქემები, სტიქიის საწინააღმდეგო სხვადასხვა პრევენციული-საინჟინრო ღონისძიებები. აქვე ყურადღება გამახვილებულია მდ. დურუჯის მიერ გამოტანილი ღვარცოფული მასის უტილიზაციის სხვადასხვა მიმართულებებზე; ავტორს მდ. დურუჯის კალაპოტში განხორციელებული საველე და სამეცნიერო კვლევებით მიღებული შედეგები 2011-2016 წ.წ. მოხსენებული აქვს როგორც საქართველოს მთავრობაში, პარლამენტში და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და აკადემიური საბჭოს სხდომებზე, ასევე მრავალ საერთაშორისო კონფერენციებზე საქართველოსა და საზღვარგარეთ.

გ. გავარდაშვილის მეორე მონოგრაფიაში **„ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები“** განხილულია საქართველოში 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყის მასივების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის შეფასებისა და მთის ფერდობებზე ნიადაგის ეროზიისაგან დამცავი საინჟინრო ღონისძიებები. 2005-2010 წლებში ჩატარებული საველე-საექსპედიციო კვლევების ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია მდინარე არაგვის წყალშემკრებ აუზში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზირება და მათი შეფასება მდინარე დუშეთის ხევისა და მლეთის ხევის მაგალითზე. განხორციელებულია ლენტეხისა და ცაგერის რაიონებში ეროზიულ-ღვარცოფული პროცესებისა და წყალდიდობების საწინააღმდეგო საინჟინრო და ფიტომელიორაციული ღონისძიებები. საიმედოობისა და რისკის თეორიის გამოყენებით შეფასებულია ტრამპლინის ტიპის ახალი კონსტრუქციების საიმედოობა და მწყობრიდან გამოსვლის რისკი, ღვარცოფის დინამიკური დარტყმის ძალისა და ღვარცოფული მასით გამოწვეული წონითი დატვირთვით, ნაგებობაზე ცალ-ცალკე და ერთდროულად მოქმედების შემთხვევაში.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დამუშავებული და განხორციელებულია პროექტი — სოფელ ჯვარბოსლის (მთათუშეთი, ახმეტის რაიონი) მოსახლეობის დაცვისა და მიმდებარე ეროდირებული მთის ფერდობის სარეაბილიტაციო კომპლექსური საინჟინრო ღონისძიებები. სხვადასხვა კატეგორიის რისკის მხედველობაში მიღებით შემუშავებულია საქართველოს მაღლივი კაშხლების შესაძლო ავარიის შემთხვევაში წარმოშობილი წყალდიდობების მათემატიკური იმიტაცია ჟინვალის, სიონის, ლაჯანურის, ენგურისა და შაორის კაშხლების მაგალითებზე. დადგენილია წყალდიდობის ძირითადი დინამიკური მაჩვენებლები და წყალდიდობებით დატბორილი ტერიტორიების ფართობები, აქვე შეფასებულია მოსახლეობის უსაფრთხოების რისკები.

კატასტროფების მათემატიკური თეორიის გამოყენებით შეფასებულია მცირე სიმძლავრის მეწყრისა და თოვლის ზვავის მოძრაობის დაწყების ხარისხობრივი ანალიზი, რომელიც აღნიშნული პროცესების პროგნოზის საშუალებას იძლევა. სამუშაო ეხმიანება კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის (ISDR) 2005-2015 წლების ჰიოგოს ჩარჩო-დოკუმენტს.

მესამე მონოგრაფიაში **„ტყის ხანძრებისაგან დაცვის მეთოდური რეკომენდაციები“** ავტორს გარკვეული ნაწილი მომზადებული აქვს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს




(USAID) მხარდაჭერით, სადაც პროფესორი გივი გავარდაშვილი პროგრამაში — „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი“ მუშაობდა, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი. მის მიერ დამუშავებულ მიმართულებაში „მელიორაციისა და ტყის ეკოსისტემის მგრძნობიარობა კლიმატის ცვლილების მიმართ“ წარმოდგენილია კლიმატის ცვლილების ფონზე ტყის ხანძრების რისკის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეროვნულ და მუნიციპალურ დონეზე. დამუშავებულია ტყის ხანძრების რისკების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა შედეგები GIS ტექნოლოგიების გამოყენებით დატანილია ფერად რუკებზე.

გ. გავარდაშვილს, როგორც 2008 წლის აგვისტოს თვეში საქართველოში საომარი მოქმედებების შედეგად გადამწვარი ტყის მასივების ეკოლოგიურ-ეკონომიკური ზარალის შეფასებისა და მდინარე ვერეს კალაპოტის ახლებურად დაგეგმარების სახელმწიფო კომისიების წევრს, წარმოდგენილი აქვს მთის ფერდობებზე ნიადაგის ეროზიისაგან დამცავი საინჟინრო ღონისძიებები და მათი დაპროექტებისათვის შესაბამისი გაანგარიშების მეთოდოლოგია. ავტორი აღნიშნავს, რომ მთის ფერდობებზე გადამწვარ ტყის მასივებში ფორმირებული ბუნების სტიქიური მოვლენების რეგულირების მიზნით რეკომენდებულია განხორციელდეს გარემოსდამცავი — მეწყრული და ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების საწინააღმდეგო თანამედროვე საინჟინრო პრევენციული, ეკოლოგიური, სატყეო-მელიორაციული, ბიოსაინჟინრო და კომპლექსური ხასიათის ღონისძიებები. ნაშრომის ბოლოს ავტორს წარმოდგენილი აქვს ტყის ხანძრების რისკების შემცირების რეკომენდაციები ცენტრალური და მუნიციპალური ხელისუფლების დონეზე.

სამეცნიერო ციკლის მეოთხე ნაშრომი **„ირიგაცია, დრენაჟი, ეროზია“ (სახელმძღვანელო)**, რომელიც განთავსებულია 410 გვერდზე და ილუსტრირებულია ფერადი ფოტოებით, წარმოდგენილია საქართველოში საირიგაციო და სადრენაჟო ქსელის, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის პრობლემების გადაწყვეტის გზები.

სახელმძღვანელოში, რომელიც შედგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2012 წელს აკრედიტებული პროგრამის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ჩვენი ქვეყნის ესოდენ სენსიტიური ბუნებრივი რესურსის — ნიადაგის მდგრადობაზე წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის მიმართ.

კლიმატის ცვლილების მხედველობაში მიღებით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისათვის წარმოდგენილია ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის მეცნიერული კონცეფცია და განხილულია ნიადაგების წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვის გადაუდებელი საინჟინრო ღონისძიებები.

მხედველობაში მიღებულია რა საბაზისო 2015 წელი, კლიმატის ცვლილების საპროგნოზო ორი პერიოდისათვის (2021 — 2050 და 2071 — 2100 წლები) შემოთავაზებულია მუნიციპალური (ადგილობრივი) და ცენტრალური ხელისუფლებისათვის ის გადაუდებელი რეკომენდაციები, რომლებიც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის საიმედოობის გაზრდისათვის.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორის მიერ დამუშავებული ნიადაგის დეგრადაციისათვის რისკების შემცირების ახალი საინჟინრო-ჰიდროტექნიკური ღონისძიებები (წყალამრიდი ზვინულენი და დამბები), ასევე, კოლხეთის დაბლობის შემთხვევაში, ჭარბი წყლის რეგულირებისათვის სამიარუსიანი კომბინირებული დრენაჟის ახალი ინოვაციური კონსტრუქცია, რომლის მეცნიერული სიახლის პრიორიტეტი დამოწმებულია საქართველოს პატენტის მოწმობით. აქვე ავტორს წარმოდგენილი აქვს დაპროექტებისათვის საჭირო თანამედროვე მეთოდოლოგია სენსიტიური ობიექტის საიმედოობისა და რისკის მხედველობაში მიღებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირების, რისკების მართვისა და მათი საწინააღმდეგო საინჟინრო-ინოვაციური ღონისძიებების თემაზე პროფესორ გივი გავარდაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ციკლს სამეცნიერო წრეებში ფართო მოწონება ხვდა. ამაზე მეტყველებს პრესაში როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე გამოქვეყნებული რეცენზიები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, ბოლო წლებში, სამეცნიერო ციკლის ავტორის მიერ განხორციელებული საერთაშორისო პრეზენტაციები: UNESCO-ს ეგიდით ჩატარებულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე „წყალდიდობები და მათთან ბრძოლის თანამედროვე პრობლემები“ (საქართველო, 2009), პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე: „მოწყვლადობა (სენსიტიურობა), რისკის ანალიზი და მართვა“ (აშშ, 2011), მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაზე „ღვარცოფული ზარალის პროგნოზი და შემცირება“ (იტალია, 2011), მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე „მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ (ჩინეთი, 2011), მე-15 და მე-17 საერთაშორისო კონფერენციები „ნატანების ტრანსპორტი და დალექვა“ (პოლონეთი, 2011 და ნიდერლანდები, 2015), საერთაშორისო კონფერენციაზე „ვაიონტის კაშხლის კატასტროფის 50 წელი — 1963-2013“, (იტალია, 2013), მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე „მშენებლობისა და არქიტექტურის თანამედროვე პრობლემები“ (ჩეხეთის რესპუბლიკა, 2014), მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე: „მოწყვლადობა (სენსიტიურობა), რისკის ანალიზი და მართვა“ (ინგლისი, 2014), ღვარცოფების მე-6 საერთაშორისო კონფერენციაზე (იაპონია, 2015), პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე „წყალი და ნიადაგი“ (ლიტვა, 2016), მსოფლიოს მეცნიერებათა აკადემიის (WASET) ეგიდით გამართულ მე-17 საერთაშორისო კონფერენციაზე (ესპანეთი, 2016), საერთაშორისო კონფერენციაზე „ენერგოეფექტურობა და მშენებლობის პრობლემები“ (პოლონეთი, 2017), საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე „გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური ასპექტები (რუსეთი, 2018) და სხვ.

**მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ნაშრომთა ციკლის საერთაშორისო პრიორიტეტულობა, რადგან შესრულებული ნაშრომები ეხმიანება კატასტროფების რისკების შემცირების გაეროს პროგრამას (2015-2025 წწ), რომელიც საზოგადოებაში ცნობილია როგორც ქ. სენდაის (იაპონია) ჩარჩო-დოკუმენტი და პირდაპირ უპასუხებს ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მიმართულებას ბუნების სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლისა და სტიქიებისაგან ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მხრივ.**

**ოთარ ნათიშვილი,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

# ასე ამბობს დონალდ ტრამპი



ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

## მოტივირებული აზრები

**ჟინი** მაგიური ინგრედიენტია, მძაფრი დრაივით რომ გმუხტავთ, რაც აუცილებელია იმისთვის, რათა ჩანაფიქრი ცხოვრებაში განვახორციელოთ, ჩემი თვალით მინახავს, მაინცადამაინც არანიჭიერი ადამიანები მარტოოდენ ჟინით როგორ მოქცეულან წარმატების მწვერვალთა თავზე. ჟინი აუცილებელი რამ არის, თუ გაჯიბრება და გამარჯვება გინდათ ამ ქვეყანაზე!

* * *

**წარმატების** მისაღწევად მთავარი პირობაა იმის სიყვარული, რასაც აკეთებთ. რათა წარემატო, დიდძალი დრო უნდა დახარჯო. წარმოუდგენლად დიდი წინააღმდეგობანი უნდა გადალახოთ. უკეთუ არ გიყვართ, რასაც აკეთებთ, ვერცროდის თავს ვერ გაიტანთ, მაგრამ თუ თქვენი სამუშაო გიყვართ, მაშინ სიძნელენი იმ სიხარულს გაუწონასწორდება, რომელსაც ეს სამუშაო განიჭებთ.

* * *

**მიეჩვიეთ** თათბირებსა და კრებებზე თქვენი საქციელისთვის თვალის მიდევნებას, ისწავლეთ დაკვირვება როგორც საკუთარ საქციელზე, ისე დამსწრეთა ქცევაზე. ამოწმეთ თქვენი ემოციები თუნდაც მანამდე, სანამ შეიკავებდეთ. სიბრაზის ხშირი აფეთქება ჩვეულებრივ იმაზე მიუთითებს, რომ ის ადამიანი საკმარისად ჭკუადამჯდარი არ არის. არაერთი შემთხვევა მაგონდება, როცა ზოგიერთი რამ პირდაპირ მაცოფებდა, მაგრამ, როგორც ახლა მესმის, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ მაშინ ჭკუა არ მყოფნიდა იმისათვის, რათა იმ ზოგიერთ რასმე ისე მოვქცეოდი, როგორც ამჟამად შემიძლია მაშინდელი ჩემი გაცოფების მიზეზის სწორად შეფასება, ანუ დაგროვილი გამოცდილების სიმაღლიდან ფასის დადება.

* * *

**ყველაზე** უფრო დიდი წარმატება მაშინ მოდის, როცა დინების წინააღმდეგ მიცურავ.

* * *

**რატომ** უნდა დავუსახოთ ჩვენს თავს მცირე მიზნები? თუნდაც ერთხელ მაინც გაგიგონიათ ბავშვისგან, როცა გავიზრდები, არც ვინ არ მინდა, რომ გამოვიდეო.

* * *

**თქვენ** თვითონ უკარნახებთ ადამიანებს, რარიგად მართებთ თქვენზე ფიქრი. საკუთარი თავის მიმართ თქვენი დამოკიდებულება ყველასთვის აშკარაა. ისე მოიქეცით, რომ ყველას ესმოდეს, რა ძვირფასიც ხართ. მაშინ ადამიანები სწორედ ასე შეგაფასებენ.

## ახალ-ახალ ცოდნასა და მიღწევებზე

***ტრამპი** ამბობს, წარმატებულ ადამიანად პოზიტიურმა აზროვნებამ გამხადაო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მუდმივად რაღაცის სწავლა, აუცილებელია გულღიად დარჩენა სულ ახალ-ახალი ცოდნისა და გამოცდილებისთვისო. ჰგონებს რა, რომ მოძველებული ინფორმაცია წამგებიანია, პოპულარულ ბიზნესმენსა და პოლიტიკოსს ნიადაგ „მაჯისცემაზე უდევს ხელი“.*

* * *

**ძალიან** მნიშვნელოვანია გულღიად დარჩენა ახალი იდეებისა და ახალ-ახალი ცოდნისთვის. საკუთარი თავის ყოვლისმცოდნედ მიჩნევა იმას ნიშნავს, რომ კარი ჩაუკეტოთ თქვენ წინ ახალ აღმოჩენებსა და შესაძლებლობებს. ჩვენს დროში არასაკმარის ინფორმირებულობას არავითარი გამართლება არა აქვს. ცოდნა ჯერ არცროდის ყოფილა ისე ხელმისაწვდომი, როგორც დღეს. ვთქვათ ასე, ყოველი თქვენი დღე დაიწყეთ სუფთა ფურცლიდან. გახსენით გონება და მიეცით შანსი ახალ დასაბამს.

* * *

**თქვენი** ცხოვრების უკლებლივ ყველა მხარეს დაუთმეთ ყურადღება, რაში ხართ ძლიერი? რა გაკლიათ? რა უნდა ქნათ, რათა საერთო სურათი ბევრად უფრო მიმზიდველი გახდეს? აკეთეთ რაც გნებავთ, ოღონდ ერთ ადგილას ნუ იდგებით. ნუ ჩაყვინთავთ თვითკმაყოფილებაში. თავს ნუ მოიკატუნებთ, თითქოს ნახევარიც გყოფნით, მნიშვნელობა არა აქვს, იღებთ თუ გასცემთ. დღეს ყველაფერი მეტისმეტად სწრაფად იცვლება.

* * *

**ჩვენი** საუკეთესო „მე“ დაგვეხმარება, რომ ფანტაზიორები გავხდეთ. სიტყვა „ფანტაზიორს“ არაერთი სინონიმი აქვს — მაგალითად, ოცნების კოშკების აგება, დონ კიხოტი. ამ სინონიმებში იგულისხმება ზედმეტად იდეალისტურად განწყობილი მავანი და მავანი. ამაში არცრა ცუდი არ არის მანამდე, სანამ ფანტაზიას რამე მიზანი აქვს. ფანტაზიორთ სამყარო ახალ განზომილებებამდე მიჰყავთ. აიღეთ, მაგალითად, მაღალი ტექნოლოგიების სფერო და ბილ გეიტსი; ანდა ტელევიზია და მარკ ბერნეტი; ან პაბლო პიკასო, იგორ სტრავინსკი და XX საუკუნის სხვა დიდი ადამიანები. ისინი იყვნენ პირველნი გზაგამკვალავნი, თავიანთ ხედვას ადევნებულნი, და აღმოაჩინეს კიდეც ახალი ჰორიზონტები.

**რაღა კარგი ინვესტორი და რაღა კარგი სტუდენტი. ყოველდღე არაერთ საათს ვანდომებ ფინანსური პრესის კითხვას.**



* * *

**მიღწევა** მწვერვალი არ არის, მიღწევა დასაბამია. რასმე მიღწეული ადამიანი მუდმივად წინ მოძრაობს; ის წინასწარ ხედავს შემდგომ ამოცანას და დაუყოვნებლივ ახალ ამოცანას უსახავს თავის თავს. ამ ენთუზიაზმს ვერ გაითამაშებ — ის ან არის, ან არ არის. მოქმედების ადამიანი ხელს ჰკიდებს ამოცანის გადაწყვეტას და მომდევნო მიზანი ხდება ამ ადამიანის ფიქრის ობიექტი. მან იცის, რომ ვალდებულება აქვს საკუთარი თავის წინაშე — უკეთესი უნდა გახდეს. ამას მე უმაღლესი თანრიგის მიხედვით ცხოვრებას ვეძახი.

* * *

**მახსოვს,** ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მეორე მსოფლიო ომის ისტორიას სწავლობდა. მან დიდი დრო მოანდომა მეორე მსოფლიო ომის მოვლენათა შესწავლას. ჩემს შენიშვნას, რომ ახლა იგი, ალბათ, უკვე დიდი სპეციალისტი იყო ამ საკითხში, მან მიპასუხა: „მხოლოდ იმას მივხვდი, რომ ბევრი რამ არ მცოდნია. მეორე მსოფლიო ომის არსის გასაგებად საჭიროა, პირველის მოვლენებს მივუბრუნდე, ამიტომ ახლა პირველი მსოფლიო ომის შესწავლა დავიწყე და დარწმუნებული ვარ, რომ უფრო ღრმად მომიხდება ბარის დაკვრა, რათა იმ ომის მიზეზებს ჩავწვდე. და ასე დაუსრულებლივ. ჩემი მეგობარი ნამდვილი მეცნიერი დადგა და აღიარა, ისტორიის შესწავლამ მასწავლა თვინიერება და იმის გაგება, რომ არცროდის ყველაფერი არ მეცოდინება, რა შეუპოვრადაც არ უნდა ვიშრომოთ.

* * *

**სამუდამოდ** დამახსომდა ჩემი მეგობარი ისტორიკოსის სიტყვები იმის თაობაზე, თუ როგორ მიხვდა, რა ბევრი რამ არ სცოდნია და ახალი ინფორმაცია ყოველთვის ახლის ძიებას აიძულებს. ის ძალიან პატივცემული ისტორიკოსი დადგა. მაგრამ, გულწრფელად გარწმუნებთ, რომ განცხრომას არ მისცემია. მოთმინება, რაც მეცნიერულმა შრომამ ასწავლა, ახალგაზრდად დარჩენას აიძულებს და ისიც გამუდმებით ესწრაფვის სულ ახალ და ახალ ცოდნას, რა ერუდირებულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს გარშემო მყოფთა თვალში. ის მარადიული სტუდენტია: ყოველდღე რაიმე ახლის შეტყობის კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევა.

* * *

**ყოველთვის** ეცადეთ საკუთარ მიღწევათა გადამეტება, თამასის სულ მაღლა და მაღლა აწევა.

* * *

**ადრეული** წლებიდანვე სცადეთ იმის განსაზღვრა, რა პროფესიას მიუძღვნათ თქვენი ცხოვრება და ამის შესაბამისად შეადგინეთ ცხოვრებისეული გეგმის მსგავსი რამ. არ უნდა იგულმავიწყოთ, რომ ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებული პროფესიები, ვთქვათ, სპორტში, ბევრად უფრო საშიშია ჯანმრთელობისთვის, ვიდრე ექიმის ან ვექილის საქმიანობა, და ისიც უნდა იცოდეთ, რომ ბევრად ადრე მოგიხდებათ ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებული პროფესიებიდან წასვლა. ამასთანავე, აუცილებლივ უნდა აგულიანებდეთ თქვენს ბავშვებს (ანდა საკუთარ თავს), რა არი, გულწრფელნი იყვნენ იმ საკითხში, რა პროფესია უფრო მოსწონთ ყველაზე მეტად. ადამიანები ხშირად უგულებელყოფენ ზეციურ, ზეგარდამო ნიჭს და ისეთ კარიერას ირჩევენ, რომელიც სულ არ შეეფერება იმათ ბუნებას. ეს გზა მხოლოდ წარუმატებლობისკენ მიდის. ყოველთვის უნდა ვიწონებდეთ ოცნების მიდევნებას (ჩემი შვილები სწორედ ასე იქცევიან), ოღონდ ამასთანავე აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ განუხორციელებელ ზმანებათა დევნაში გამორიცხული არ არის უამრავი დროის და ფულის ხარჯვა.

* * *

**ხან** ახალი იდეები იშვებიან ისეთი ჩვეულებრივი და პრაქტიკული რამიდან, როგორიც მანქანის მინამწმენდებია, თვითონ მძღოლები „მეეზოვეებს“ რომ ეძახიან.

## ყოფაქცევის წესებზე

***როგორ** შეიძლება შთაბეჭდილების მოხდენა? აღნიშვნად ღირს, რომ დონალდ ტრამპი განსაკუთრებულ ქარიზმას ფლობს. ჯერ მარტო წინასაარჩევნო დაპირებები რად ღირს, რომელთა შესრულებაც, თავისდა სასიქადულოდ, უკვე დაიწყო! მან შეძლო მილიონობით უბრალო ამერიკის გულებისთვის ხმის მიწვდენა, და, რასაკვირველია, ასეთი ლიდერი თავის პატარ-პატარა ეშმაკობებს მიმართავს.*

*ტრამპს იმ წესების თავისი შემოწმებული კრებული აქვს, რომელი წესებითაც მთელი სიცოცხლე სარგებლობს. სწორედ ამ წესებმა შეაძლებინეს ბიზნესში თავისი მდგომარეობის მიღწევა.*

* * *

**არის** ერთი პატარა ეშმაკობა: მეტრდოტელს ანდა თქვენს მომსახურე ოფიციანტს ისე მოექეცით, ვითომ ის წვეულებისა თუ ნადიმის მასპინძელია, ხოლო თქვენ მიწვეული სტუმარი ხართ. მუდამ გახსოვდეთ, მაშინაც კი, როცა ანგარიშს ასწორებთ, რომ თქვენ იმ რესტორნის სტუმარი ხართ. თუ სტუმარივით იქცევით, თქვენ შესაბამისად მოგექცევიან, ხანდახან კი მომსახურეთა თვალში საპატიო სტუმარიც გახდებით.

* * *

**თუ** სადმე მიგიწვიეს, არც ძალიან ადრე უნდა მიხვიდეთ და არც ძალიან გვიან არ უნდა წახვიდეთ. საკმაოდ ხშირად შევსწრებივარ, რომელიმე წვეულების ბოლოს დარბაზში სამი-ოთხი კაცი დარჩენილა, მუცელს გადაყოლილი, რომელთაც წასვლა აღარ უნდათ. არც ის იგულმავიწყოთ, რომ მეტისმეტად ბევრის სმა ანდა შეუფერებლად მოქცევა არასასურველ პერსონათა სიაში მოხვედრას ნიშნავს.

* * *

**იყავით** ზუსტნი. პუნქტუალობა უკიდურესად მნიშვნელოვანი რამ არის, არც როდის არ შეურიგდეთ დაგვიანებას, დადგენილი ვადების დაუცველობას — მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაარღვია აღიარებული წესი: თქვენ თუ თქვენმა საქმიანმა პარტნიორმა.

* * *

**მუდამ** წინასწარ მოემზადეთ ყოველი შეხვედრისთვის, თათბირისთვის, ღონისძიებებისთვის. უკეთუ სხვის დროს ხარჯავთ საკუთარ მოქმედებათა დაგეგმვისა და კარგად მოფიქრების უუნარობისა გამო, გამორიცხული არ არის თქვენზე ნეგატიური შთაბეჭდილების შექმნა.

(გაგრძელება იქნება)

**ხელს მუდამ და სიამოვნებით ვართმევ. ჩემი აზრით, პოლიტიკოსი, ალბათ, ვერ გახდები, თუ ხელის ჩამორთმევა არ გიყვარს.**



გაგრძელება. დასაწყისი იხ. №78-84



# ანანიას პრეზერვატივები და დაკარგული სინდისი

**ანანია ამ საქმეში მარტო არ არის. ამ ძეგლისადმი (რომელიც ხალხმა „ქართვლის დედის" სიმბოლოდ აღიარა!) ბინძური დამოკიდებულება მან უთუოდ უფროსი თაობიდან — ბიძია ზურაბ ჭიაბერაშვილისა და დეიდა თამარ ჩერგოლეიშვილისგან აიღო. მაგალითად, ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც დღემდე პარლამენტში ყელყელაობს, „გვიმტკიცებდა" „ქართვლის დედას" ცალ ხელში ხმალი რომ უჭირავს, პენისი იგულისხმება, ხოლო მეორეში, ფიალა — საშოო. ეროვნულ სიწმინდეებზე თამარ ჩერგოლეიშვილის უხამსი წიაღსვლებიც გვახსოვს. მოდი და ამის შემდეგ გაგიკვირდეს 22 წლის გოგონასი, რომელიც ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად ყველა სიბინძურეზე მიდის. თუმცა, ვფიქრობ, მაინც მადლობელი უნდა ვიყოთ, თავის ნახატ-წარწერების ობიექტად ტუალეტის ქაღალდი რომ არ აიღო. მასშტაბები შენ მაშინ გენახა!**

**ჟაბუკმა ცუკერბერგმა, რომელმაც ფეისბუქი გამოიგონა, ჯერ იმით გააოგნა მსოფლიო, რომ ასეთი მასშტაბური და უცხო რამ შესძინა კაცობრიობას და მეორეც, ამ გამოგონებით, როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაში მიითვალა მილიარდები.**

ამ დახვავებულმა მილიარდებმა ბევრს აუშალა საღერღელი და დიდი თუ პატარა გამომგონებლობას დაეწაფა. გაჩნდა იდეა ფიქსი — აუცილებლად გამოიგონე რამე და ფული იშოვე! თანაც ისე იშოვე, რომ დანახარჯი არ გქონდეს, თორემ რა გამოვა, შეიძლება, ფული დახარჯო, შექმნით კი ვერაფერი შექმნა. ისეთი, ვერაფერს რომ ვერ გამოიგონებს, ბევრზე ბევრია, ანუ უმართლებს ძალზე ცოტას. მაგრამ ამ ცოტა იღბლიანიდან კიდევ უფრო ცოტა შოულობს ფულს. ერთი სიტყვით, ან ძალიან ტვინით გაძეძგილი უნდა იყო, ან ძალიან — იღბლიანი, ან...

აი, ანანია ტვინით გაძეძგილიც არის (იმის მოფიქრება არ გინდა, რაც მან მოიფიქრა?), შთაგონებულად იღბლიანიც და, როგორც იტყვიან, სინდის-ნამუსზე საშვილიშვილოდ მწყრალად მყოფიც. ჰოდა გაუმართლა კიდეც — თავდაპირველ საბრუნავ თანხას 60 ლარს, როგორც თავად ამბობს ამაყად, უკვე რამდენიმე ნული მიუმატა, საყოველთაო ღრიანცელი, ლანძღვა-გინება და წყევლა — ცალკე.

ეს ერთი ხანია, საქართველოს ქოცებისა და ნაცების მარადიული სამკვდროსასიცოცხლო ჭიდილის გარდა, პრეზერვატივებიც აზანზარებს. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ოღონდ, არა ზოგადად პრეზერვატივები, არამედ კონკრეტულად — ანანიას პრეზერვატივები.

**პრეზერვატივი**, მოგეხსენებათ, კაცობრიობის მამაკაცური ნაწილის სახალხო, ოღონდ არა საყოველთაო, მოხმარების საგანია. ანუ იხმარ, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს, არ იხმარ და შენი საქმისა შენ იცი. არიან კაცები, რომლებსაც ჯიბეები რეზინის ამ დამცველ-დარაჯით აქვთ სავსე და არიან კაცები, თავის დღეში რომ არ მოუხმარიათ. არიან გარკვეული კატეგორიის ქალბატონებიც, რომლებიც სექსუალური მომსახურების ფასზე შეთანხმების უმალ პარტნიორს, როგორც წესი, პრეზერვატივს მიაჩეჩებენ ხელში...

პრეზერვატივს, ძირითადად, ის მოთხოვნა აქვს წაყენებული, რომ გამძლე იყოს, უდროო დროს არ შემოეხეს მომხმარებელს. ისე, გვახსოვს ამ რამდენიმე ხნის წინათ „ბუსუსებიანი" პრეზერვატივის თემამაც ააფორიაქა პარლამენტი და საზოგადოება...

ახლა „ანანიას პრეზერვატივი"... ეს სექსსახმარისის ბოლო სიტყვაა — მოხატული, წარწერებიანი. წმინდა მეფეთა მეფე თამარი, „ქართვლის დედა", გენერალისიმუსი იოსებ სტალინი, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინის პორტრეტი... ახლა წარწერები: აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან" („სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა", „ბოროტსა სძლია კეთილმან", „გველსა ხვრელით ამოიყვანს"...), „ძლევაი საკვირველი"...

როგორც გავიგე, ამ მოხატულ-მოწერილი პრეზერვატივების გასაყიდად გამოშვების მიზანი ის ყოფილა, რომ მომხმარებელ მამრს თან თავისი საქმე ეკეთებინა და თან მცირე ვერნისაჟსაც გაცნობოდა და ელემენტარული ცოდნა მიეღო საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში. ეს ხუმრობით. თუმცა, რა თქმა უნდა, სახუმარო და სასაცილო აქ არაფერია, უბრალოდ, სულმა წამძლია, ვიციგნე...

**21 აპრილს,** შაბათ საღამოს „იბერია ტვ"-მ ვანო პავლიაშვილის გადაცემაში „პოლიტიკური ალგორითმი" ეროტიკულ სკანდალად მოგვაწოდა ვინმე ანანია გაჩეჩილაძის — ქართული ბრენდის „აიისას" დირექტორის ინტერვიუ. მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ეს 22 წლის (ანუ როგორც თვითონ აზუსტებს, ჩასახვიდან 23 წლის) ქალიშვილი სწორედ იმ მოხატული პრეზერვატივების გამომგონებელ-გამომშვები ანანიაა, რომელიც დასაწყისში ვახსენეთ.

იჯდა სტუდიაში გარეგნულად მშვენიერი ქალიშვილი და აუღელვებლად, მტკიცე ხმით, ოღონდ რაღაც მექანიკური თოჯინასავით, „განათლებულად" ყვებოდა თავის მიგნებაზე — სურათებიან-წარწერებიან პრეზერვატივებზე, რამაც მას გზა გაუხსნა საერთაშორისო ბიზნესში: მისი „აიისაას" შეკვეთით საზღვარგარეთ მზადდება ეს მოხატულ-მოჩითული სექსსახმარა და წარმატებით იყიდება იქვეც (საზღვარგარეთ) და ჩვენშიც, ანუ პოლიგონი ანანიას პრეზერვატივების მუშა მდგომარეობის შესამოწმებლად, ინტერნაციონალურია...




ანანია განმარტავს: ეს არ იყო ავანტიურა, ჩვენი (ანუ „აიისასელი" დედამძუძეების) გადმოსახედიდან ამას არ უნდა გამოეწვია ამხელა ხმაური („ამაში" პრეზერვატივების ეროვნული სიწმინდეებით მოხატვას გულისხმობს). ეს „აღქმის საკითხია". თამარი, მართალია, წმინდანია, მაგრამ ის მაინც მეფეა (ანუ მეფისთვის პატივის მიგება ნაკლებად ეგების). „ძლევაი საკვირველიანი" პრეზერვატივით ჩატარებული სქესობრივი აქტი შეიძლება მართლაც საკვირველი სიმძლავრისა იყოს. „ქართვლის დედა" არ უნდა აღვიქვათ, როგორც ეროვნული სიწმინდე, ის დაიდგა დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად, ამდენად ისეთივე რიგითი ძეგლია, როგორიც დგას ერევანში, რუსეთში (ალბათ, სტალინგრადში, მამაის ყორღანზე მდგარი ვუჩეტიჩის ძეგლი იგულისხმება) და სხვ.

რა გინდა უთხრა ამ თითის სიგრძე უტიფარ გოგოს! ჯერ ერთი, „ქართვლის დედა" ომში გამარჯვების კი არა, თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად, თბილისის სიმბოლოდ შექმნა ცხონებულმა ელგუჯა ამაშუკელმა, მეორეც, იგი თუნდაც ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად დაედგათ, თუ ხალხისთვის იგი ეროვნულ სიწმინდეს უთანაბრდება, გაქვს უფლება პრეზერვატივს მიახატო?

თუმცა, ანანია ამ საქმეში მარტო არ არის. ამ ძეგლისადმი (რომელიც ხალხმა ქართვლის დედის სიმბოლოდ აღიარა!) ბინძური დამოკიდებულება მან უთუოდ უფროსი თაობიდან — ბიძია ზურაბ ჭიაბერაშვილისა და დეიდა თამარ ჩერგოლეიშვილისგან აიღო. მაგალითად, ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელიც დღემდე პარლამენტში ყელყელაობს, „გვიმტკიცებდა", „ქართვლის დედას" ცალ ხელში ხმალი რომ უჭირავს, პენისი იგულისხმება, ხოლო მეორეში, ფიალა — საშოო. ეროვნულ სიწმინდეებზე თამარ ჩერგოლეიშვილის უხამსი წიაღსვლებიც გვახსოვს. მოდი და ამის შემდეგ გაგიკვირდეს 22 წლის გოგონასი, რომელიც ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად ყველა სიბინძურეზე მიდის. თუმცა, ვფიქრობ, მაინც მადლობელი უნდა ვიყოთ, თავის ნახატ-წარწერების ობიექტად ტუალეტის ქაღალდი რომ არ აიღო. მასშტაბები შენ მაშინ გენახა!

მთავარი ის არის, რომ ანანია გაჩეჩილაძე ვერ (უფრო სწორად — არ) აცნობიერებს, რომ მან თავისი ნოუ ჰაუთი შეურაცხყო ერის რელიგიური გრძნობები და ისტორიული მეხსიერება, პირიქით, გულის გულში დარწმუნებულია, რომ მისი საქმე... ჩვენი კულტურის პოპულარობას ემსახურება.

არც რცხვენია და არც ეამაყება. არც ინანიებს. პირიქით, ოპონენტებს ედავება, რომ მას ვერავინ განსჯის, რომ მას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება და შეუძლია არ გაითვალისწინოს არავისი აზრი. ჰოდა, ახლა ამ ახალბედა მეწარმემ წმინდანებისა და აფორიზმების მიხატვა და მიწერა პირდაპირ, ასე ვთქვათ, „ცოცხალ" პენისებზე რომ დაიწყოს სერვისის გასამრავალფეროვნებლად, მერე რა ვქნათ?

ერთი სიტყვით, ანანია ტიპური უტეხია (ეს გურული სიტყვაა და ისეთ ადამიანს ნიშნავს, რომელსაც რა გინდ ბევრი ეცადო, ვერაფერს შეასმენ!).

ასეთებზე გურულები ამასაც იტყვიან: „მაი ბაღანე უნდა დაჭყლიტო, თვარა მაგას აწი არაფერი ეშველებაო".

დასაჭყლეტად, მართალი გითხრათ, მაინც არ მემეტება, ბოლოს და ბოლოს 22 წლის გოგოა. მე მომავალი დედა ვარო, როგორაც თქვა. ჰოდა, იქნებ დღეს თუ არა, ხვალ ეშველოს... ღმერთმა ქნას!

აი, შეგონება, შენამუსება, მაგალითებით დისპუტირება კი სრულიად ზედმეტია და ამისი არც არავითარი სურვილი არ მაქვს.

მე უფრო სხვა რამ მაფიქრებს: საიდან ეს ყველაფერი, საიდან ეს შორენები, თამოები, კესარიები, ანანიები? საიდან ეს ამდენი „თავისუფალი პიროვნება" და უკუღმართი აზრი? როგორ უნდა ითანაცხოვრო, როცა მათთვის სიტყვას აშკარად არა აქვს აზრი? აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავიბრუნებთ როცა იქნება, აი, ხალხის გადაგვარებასა და გათახსირებას რა ეწამლება, ძნელი სათქმელია. სად გადის ზღვარი?

**ალეკო ასლანიშვილი**
ტელ: 599568186

## კატარელი ჟურნალისტები საქართველოში

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით კატარის პოპულარული გაზეთებისა და რადიოს 8 ჟურნალისტი საქართველოს ეწვია. პრესტურის მონაწილეებმა ბორჯომი, ახალციხე, ვარძია, ქუთაისი, წყალტუბო, ყაზბეგი, გუდაური და მცხეთა დაათვალიერეს. თბილისში, კატარის საელჩოში ტურის მონაწილეებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე და კატარის ელჩი საქართველოში მუბარაქ ბინ სანერ მუბარაქ ალ-ხალიფა შეხვდნენ.**

**საქართველოს ტურისტული მიმართულება სულ უფრო პოპულარული ხდება კატარელი მოგზაურებისთვის, რასაც ხელს უწყობს პირდაპირი ავიამიმოსვლა თბილისსა და კატარის დედაქალაქ დოჰას შორის. კატარის ავიახაზები თბილისის მიმართულებით ყოველდღიურად 2 ავიარეისს ასრულებს. ზაფხულის სეზონზე რეისების სიხშირე გაიზრდება.**



## სტამბოლის უნივერსიტეტის რექტორი მუსტაფა აიდინი:

# რუსები თბილისის გეოპოლიტიკური კურსის შეცვლას კვლავ შეეცდებიან...



პოლონური რადიოსადგურის „Polskie Radio“-ს კორესპონდენტმა აგნეშკა მარცელა-კამინსკამ ინტერვიუ ჩამოართვა სტამბოლის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ **მუსტაფა აიდინს**.

**— ჩვენ ვსაუბრობთ ამიერკავკასიაში არსებული სიტუაციისა და იმ როლის შესახებ, რომელსაც ამ რეგიონში მსოფლიოს მსხვილი მოთამაშეები ასრულებენ. თქვენ სწორედ ამ საკითხებს იკვლევთ. რა ნაბიჯებს გადადგამს, თქვენი აზრით, ვლადიმერ პუტინი ამიერკავკასიაში და სხვა მომიჯნავე რეგიონებში უახლოეს ექვსი წლის განმავლობაში? რას უნდა ველოდოთ მისგან?**

— თუ რაიმე მასშტაბური გეოპოლიტიკური ცვლილებები არ მოხდება, რუსეთისათვის კავკასიაში შექმნილი სტატუს-კვო და მისი გავლენის დონე მისაღები იქნება. საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვი განმტკიცდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, გააძლიერა გავლენა სომხეთში — რუსეთმა ამ ქვეყანაში, პრაქტიკულად, ყველაფერი იყიდა, რასაც კი ეკონომიკური ფასეულობა ჰქონდა. რუსეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონს სხვადასხვა კონფლიქტების მეშვეობით აკონტროლებს. თუ სიტუაცია არ შეიცვლება, კრემლი, სავარაუდოდ, რაიმე ახალ ოპერაციას აღარ განახორციელებს, რუსები მიღწეულით დაკმაყოფილდება. მაგრამ თუ მოსკოვი იგრძნობს, რომ რეგიონის ქვეყნებში მის წინააღმდეგ განწყობა ძლიერდება და მას სამხრეთ კავკასიიდან საფრთხე დაემუქრება, მან შეიძლება აგრესიული ნაბიჯები გადადგას — ისევე როგორც საქართველოში 2008 წელს და უკრაინაში 2014 წელს.

**— თქვენთვის მოულოდნელი იყო საქართველოსთან და, მოგვიანებით, უკრაინასთან დაკავშირებული მოვლენები?**

— რაც შეეხება საქართველოს, 2008 წელს ექსპერტთა უმრავლესობამ, მათ შორის მეც, კონფლიქტის წარმოქმნა განვჭვრიტეთ. ჩვენ მას ჯერ კიდევ 2007 წლიდან ველოდებოდით.

**— ესე იგი, ელოდებოდით მოვლენების ასეთ განვითარებას და წინასწარმეტყველებდით კიდეც?**

— დიახ, ბევრი ექსპერტი ომამდე ერთი წლით ადრე ამბობდა, რომ ასეთი კონფლიქტი წარმოიქმნებოდა. რუსეთი საქართველოსთან მიმართებით პროვოკაციულად მოქმედებდა: მოსკოვს სურდა, თბილისი იმ დონემდე მიეყვანა, როცა ქართველები შეცდომას დაუშვებდნენ და შემდეგ მათ საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. საბოლოოდ, სწორედ ასე მოხდა. რუსებმა საქართველოზე ზეწოლა მოახდინეს, „კედელთან მიაყენეს“, რომლის შედეგად თბილისი იძულებული გახდა, რეაგირება მოეხდინა. ჰოდა, რუსეთმაც დრო იხელთა და საქართველოს დაარტყა. ჩვენ განვჭვრიტეთ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები... თუმცა შემდეგ სიტუაციის სწრაფი ცვლილება დაიწყო. ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა დასავლეთის რეაქციამ, უფრო სწორად — აშშ-ისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების რეაქციის არქონამ.

2008 წლის მოვლენებმა 2014 წლის მოვლენებამდე მიგვიყვანა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ველოდით, რომ რუსეთი კონკრეტულად ყირიმის ანექსიას მოახდენდა. თუმცა შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ დაინახა — 2008 წელს არც ნატომ და საერთოდ, არც დასავლეთმა საქართველოსთან მიმართებით რეაგირება არ მოახდინეს. მე არც მიფიქრია, რომ რუსები ყირიმს სამხედრო ძალით მიითვისებდნენ, თუმცა ვვარაუდობდი, რომ მოსკოვი ძალას სადღაც მაინც გამოიყენებდა.

**— არის ამჟამად ისეთი რომელიმე რეგიონი, რომელზეც, თქვენი რჩევით, ყურადღება უნდა გამახვილდეს?**

— ამჟამად? კავკასიასა და შავი ზღვის რეგიონში სიტუაცია სტაბილურია: რუსეთმა მიიღო ის, რაც სურდა. თუ ახალი პრობლემები ან საფრთხეები არ გაჩნდება, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტატუს-კვო შენარჩუნდება. არასტაბილური იქნება სიტუაცია უკრაინაში, სადაც დაძაბულობა დარჩება. შესაძლოა, იქ რაღაც კონფლიქტი კიდევ წარმოიქმნას. რუსები, როგორც ჩანს, კმაყოფილნი არ არიან იმით, რასაც უკრაინაში მიაღწიეს. თუ შესაძლებლობა გამოჩნდება, მოსკოვი იმით აუცილებლად ისარგებლებს.

**— როგორ განვითარდება სიტუაცია საქართველოში? ისევ იქნება აქტუალური საზღვრების თემა? უფრო სწორად, მათი გადაწევა?**

— არ ვფიქრობ, რომ საქართველოში რაიმე კონფლიქტი დაიწყება, თუმცა, რა თქმა უნდა, რუსები კვლავ ეცდებიან თბილისის გეოპოლიტიკური კურსის შეცვლას. მოკლედ, სიტუაცია იგივე იქნება, როგორიც ამჟამადაა.

**— როგორ შეაფასებდით მოსკოვის მოქმედებას სირიაში: რა სურთ რუსებს, რას უნდა ველოდოთ მათგან?**

— რუსეთმა დაინახა, რომ შეუძლია სირიაში ოპერაციის განხორციელება და ისარგებლა ამ შესაძლებლობით. ამერიკელებს არ სურდათ სირიის კონფლიქტში აქტიური მონაწილეობა. ისინი რეგიონში საკმაოდ უთავბოლოდ მოქმედებდნენ, რის შედეგადაც 2015 წელს იქ რუსები გამოჩნდნენ. მოსკოვი ცდილობდა, სირიაში მტკიცედ დამკვიდრებულიყო. შედეგი სახეზეა: რუსეთს სირიაში უკვე რამდენიმე ბაზა აქვს გრძელვადიანი გამოყენებისთვის. გასაგებია, რომ მოსკოვს განზრახული აქვს სირიაში კონფლიქტის დასრულების შემდეგაც დარჩეს. სირიაში ყოფნის შედეგად რუსეთი მნიშვნელოვანი ძალა გახდა ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ აუზში და საერთოდ, ახლო აღმოსავლეთში. მოსკოვს ბედმა გაუღიმა: სირიის მოვლენებმა გლობალურ მოთამაშეებს ყირიმი დაავიწყა. მანამდე მოსკოვს პერმანენტულად ახსენებდნენ ნახევარკუნძულის პრობლემას, მაგრამ კრემლმა შეძლო ყურადღების გადატანა სირიაზე. ეს რუსეთისთვის მომგებიანია. რუსები აქტიურად ჩაერთვნენ პროცესებში: ისინი თანამშრომლობენ სირიის მმართველ რეჟიმთან, თურქეთთან და ირანთან, ენერგიულად არიან დაკავებული ახალ მოკავშირეთა ძიებით. გარდა ამისა, რუსეთმა აამოქმედა „ასტანის პროცესი“ სირიის სიტუაციის დარეგულირების მიზნით.

**— ბოლო დროს დასავლელი დამკვირვებლები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსკოვისა და ანკარის ურთიერთობას. თქვენი აზრით, სამომავლოდ თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდება?**

— რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა სულ უფრო მეტად ვრცელდება ახალ სფეროებზე — პოლიტიკურთან ერთად, მასში არის ეკონომიკური და სამხედრო კომპონენტებიც (იარაღის შესყიდვა), აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ენერგეტიკის სფეროში (ბუნებრივი გაზის მოწოდება, მილსადენები)... ამჟამად რუსები თურქეთში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებისთვის ემზადებიან. ვფიქრობ, თანამშრომლობა განვითარდება. რა თქმა უნდა, ყველას გვახსოვს ორი წლის წინანდელი სამხედრო ინციდენტი, როცა სერიოზული კონფლიქტური სიტუაცია გაჩნდა თურქეთის მიერ რუსეთის თვითმფრინავის ჩამოგდებით, რომელმაც ჩვენი საჰაერო სივრცე დაარღვია. ვფიქრობ, ამ ინციდენტით ორივე ქვეყანამ გაკვეთილი მიიღო და დასკვნები გააკეთა. ამჟამად რუსული თვითმფრინავები თურქეთის საზღვართან ფრთხილად დაფრინავენ, ხოლო თურქეთი უფრო დაკვირვებით ფიქრობს, როგორ ფრთხილად მოახდინოს რეაგირება რაიმე მსგავს სიტუაციაზე.

**— მოსკოვსა და ანკარას შორის სამხედრო თანამშრომლობაც არსებობს, თუმცა იმავდროულად თურქეთი ნატოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წევრად რჩება...**

— რუსული სარაკეტო კომპლექსების — C-400-ების შესყიდვა, თურქეთის მთავრობის მტკიცებით, დროებითი ზომაა. ანკარა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შეძენის მიზნით მოლაპარაკებებს რამდენიმე ქვეყანასთან, მათ შორის აშშ-სთანაც აწარმოებს, საფრანგეთთან და იტალიასთანაც. მაგრამ რადგანაც მათთან მოლაპარაკების პროცესი გაჭიანურდა, თურქეთს კი დაყოვნება არ სურს, მთავრობამ მზერა რუსულ სარაკეტო კომპლექსს მიაპყრო, რომელიც, როგორც რუსები ამბობენ, თურქეთს ყველაზე იაფი დაუჯდება. გარდა ამისა, რუსეთი მზადაა, მის საყიდლად კრედიტიც მოგვცეს. საერთოდ კი, სამომავლოდ თურქეთს საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის შექმნა სურს.

რა თქმა უნდა, სიტუაცია რთულია: ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ C-400-ები ნატოს სისტემებთან შეუთავსებელია. ეს რაკეტები გარკვეული პერიოდის მანძილზე იქნებიან გამოყენებულნი ჩვენი ტერიტორიის რომელიღაც ნაწილის დასაცავად — მანამდე, სანამ თურქეთი საკუთარ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას არ შექმნის.

ამასთან, მართალია, ჩვენმა მთავრობამ განაცხადა, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და კონტრაქტს ხელი უკვე მოეწერაო, მე ვიცი, რომ ამჟამად რუსეთს ჯერჯერობით ჩვენთვის მზად არა აქვს საკმარისი რაოდენობის კომპლექსები და ფულიც, რომელიც კრედიტის სახით უნდა მოგვცეს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**მოამზადა „ნიუპრესმა“**

## ევროკავშირი არ დაეხმარება სირიის აღდგენას პოლიტიკური პროცესის დაწყებამდე



**ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა.**

**„ევროკავშირი ხელს არ შეუწყობს სირიის აღდგენას ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების დაწყებამდე, მაგრამ ჩვენ ხელს შევუწყობთ ერთიან, მშვიდობიან სირიას, რომელიც მიდის პოლიტიკური დარეგულირების გზით“ — განაცხადა მან. მოგერინმა დასძინა, რომ ევროკავშირმა უკვე გამოყო 11 მილიარდი ევრო სირიის მოსახლეობის დასახმარებლად და ასევე ლტოლვილებისთვის. „ევროკავშირმა უკვე გამოყო 11 მილიარდ ევროზე მეტი სირიის დასახმარებლად, როგორც ქვეყნისთვის ასევე მის ფარგლებს გარეთ. დღეს ჰუმანიტარული მხარდაჭერა აუცილებლობაა და არა ერთ-ერთი შესაძლებლობა“ — განაცხადა მან.**

## ქირურგმა პაციენტს თავის ნაცვლად ფეხის ოპერაცია გაუკეთა

**ინდოეთში, დელის სახელმწიფო საავადმყოფოში, უფროსმა ექიმმა შეცდომით ჩაატარა ფეხის ოპერაცია პაციენტზე, რომელიც საავადმყოფოში თავის ტრავმებით იყო შესული. ინდური მედიის ცნობით, ქირურგს პაციენტები აერია და გადაწყვიტა, რომ საოპერაციოში იწვა ფეხმოტეხილი პაციენტი. ოპერაციის მსვლელობისას პაციენტს არ შეეძლო ექიმისთვის მიეცა მითითება, რადგან ნარკოზის ქვეშ იმყოფებოდა.**

**როდესაც გაირკვა, რომ პაციენტს სხეულის არასწორი ნაწილის ოპერაცია ჩაუტარეს, ექიმებმა ნაოპერაციებ ფეხში ჩადგმული ინპლანტი ამოიღეს და საჭირო დახმარება გაუწიეს. ქირურგი რომელსაც შეცდომა მოუვიდა ოპერაციების ჩატარებას მხოლოდ კოლეგების თანდასწრებით შეძლებს.**

## ებრაელებს კიპას კეპით ჩანაცვლებას სთავაზობენ

**ებრაული სათვისტომოს ლიდერი, გერმანიის დიდ ქალაქებში სტუმრობისას, ებრაელ მოქალაქეებს ურჩევს, თავი შეიკავონ საზოგადოებაში კიპას ტარებისგან, მას შემდეგ რაც სწორედ ამ მიზეზით ერთი ახალგაზრდა სცემეს ბერლინის ქუჩებში. თავდასხმამ, რომელიც 19 წლის სირიელმა ლტოლვილმა განახორციელა, გაამძაფრა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა და ქვეყანაში ანტისემიტური სიტუაციის შექმნის მიზეზი გახდა.**

**ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ ინციდენტის გამო შეწუხდა იყო იოსეფ შუსტერი — გერმანიაში ებრაელთა ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელი. გუშინ მან მედიის საშუალებით მიმართა ებრაელ მოქალაქეებს თხოვნით, უარი თქვან საზოგადოებაში კიპას ტარებაზე გერმანიის დიდ ქალაქებში და ის კეპით ან სხვა ნეიტრალური აქსესუარით ჩაანაცვლონ.**



# თბილისით დატყვევებული ტურისტები

## იქ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩადიან




რუსული გამოცემის, **„Наша газета“** მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელიც რუსეთის კრასნოდარის მხარეში მდებარე ქალაქ ნოვოროსიისკის გაზეთში გამოქვეყნდა, საუბარია საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობაზე.

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ გალინა ტეტერინას ავტორობით გამოქვეყნებული მასალის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით:

**„რატომ არის კარგი კრასნოდარის მხარეში ცხოვრება? იმიტომ, რომ უპრობლემოდ შეგიძლია გამოსასვლელ დღეებში ნოვოროსიისკიდან ან კრასნოდარიდან საქართველოში წახვიდე და იქაური შთაბეჭდილებებით დატკბე. ამას წინათ საქართველოში ვიყავი და ეს მოგზაურობა ჩემს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მოგზაურობად იქცა. ჩვენი ტურისტული ავტობუსები საქართველოში რამდენიმე საათის განმავლობაში ჩაგიყვანთ.**

დღეს საქართველო ტურისტებს პირდაპირ ატყვევებს და ხიბლავს — იქ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩადიან. თბილისის ქუჩებში დადიან მკაცრი გამომეტყველების გერმანელები, ინგლისელები და ფრანგები, ძალიან ბევრია „ყველგანმავალი“ ჩინელები ფოტოაპარატებით, აქ შეხვდებით მთელ ოჯახებს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან — ირანიდან, არაბთა ემირატებიდან, ინდოეთიდან... რაც შეეხება რუსულ ენას, ის ქალაქის ყველა კუთხეში ისმის.

საქართველოში თავს ისე კარგად გრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა, რომელმაც ქრისტიანობა, რუსეთთან შედარებით რამდენიმე საუკუნით ადრე მიიღო. ექსკურსიების სოლიდური წილიც სწორედ უძველესი ტაძრების, ეკლესიების და ქრისტიან წმინდანთა საძვალეების დათვალიერებაზე მოდის. უსაფრთხოება გარანტირებულია: თვითონ ქართველები აცხადებენ, რომ მათთვის სტუმართა უსაფრთხოება პირველ ადგილზე დგას. კორუფცია, პრაქტიკულად, არ არსებობს. საქართველოში სამოგზაურო ტურის განსაკუთრებული სახეობაც კი ჩამოყალიბდა: მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული გოგონები აქ მარტო დადიან — მათ იციან, რომ არავინ არაფერს არ დაუშავებთ.

რაც შეეხება რუსულ ენას: საქართველოს მოსახლეობის უფროსი თაობა რუსულად კარგად ლაპარაკობს. ასე რომ, გზა არ დაგებნევათ და არ დაიკარგებით. ადგილობრივი მცხოვრებლები სიამოვნებით დაგეხმარებიან, სიმღერებსაც გიმღერებენ და გაგამხიარულებენ. ახალგაზრდები კი უცხოელთან შეხვედრისას ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ.

ქართველები ძალიან მორწმუნე ხალხია, რასაც ერთი ფაქტიც მოწმობს: ბოლო წლებში შობადობის დონე საქართველოში ძალიან მცირდებოდა. პატრიარქი ილია მეორე მრევლს დაჰპირდა, რომ ოჯახში დაბადებულ ყოველ მესამე ბავშვს პირადად თვითონ მონათლავდა. როცა მან ბავშვების მონათვლა დაიწყო, შობადობის დონეც საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოში ძალიან საინტერესოდ ჩანს მართლმადიდებლური რწმენის შეთავსება აღმოსავლური ხასიათთან. ქართველები მხიარული ხალხია, რაც მათი განმასხვავებელი ნიშანია. ძალიან უყვართ სუფრა, რომელიც ყოველთვის მდიდრულადაა გაშლილი. სუფრაზე თამადა ბევრ სადღეგრძელოს ამბობს, მაგრამ იწყებს უფლისა და სიწმინდეების დალოცვით, მშობლიური ქვეყნის, ხალხის გმირების მოხსენიებით, დიდ პატივისცემას გამოხატავს ქალების მიმართაც: თქვენ უნდა ნახოთ რუსი ქალები ქართველი თამადის კომპლიმენტების შემდეგ — ისინი პირდაპირ დნებიან (სხვათა შორის, მეც ასეთი ვარ!). მარტო ამისთვის უნდა წახვიდეთ საქართველოში, რომ თავი შინაურებში უზრუნველად იგრძნოთ გადატვირთული სამუშაო კვირის შემდეგ.

საინტერესოა, რომ ქართველებს ნაკლოვანებებიც აქვთ: მათ არსად არ მიეჩქარებათ და სამუშაო დღესაც საკმაოდ გვიან იწყებენ. ლეგენდაც კი არსებობს მათ აუჩქარებლობასთან დაკავშირებით: „როცა უფალი ხალხებს მიწებს ურიგებდა, ქართველებმა დააგვიანეს. ღმერთმა ჰკითხა, რად დააგვიანეთ, სად იყავითო. ქართველებმა უპასუხეს — სუფრა გვქონდა გაშლილი, თქვენს სადღეგრძელოს ვსვამდითო“. უფალს პასუხი მოეწონა და გადაწყვიტა, მათთვის ის მიწა მიეცა, რომელიც თავისთვის ჰქონდა შენახული. სწორედ იმ დროიდან უფრთხილდებიან ქართველები თავიანთ სამშობლოს, უყვართ და ადიდებენ.

ქართველები განთქმული მეღვინეები არიან. უკვე დადგენილია, რომ სწორედ აქ ჩაისახა ღვინის კულტურა და მეღვინეობა. საქართველოში ცუდი ღვინო არ არსებობს, ყველა მხარეს თავისი სასიამოვნო სასმელი აქვს. არაფერს ვიტყვი ქართულ ეროვნულ სამზარეულოსა და უგემრიელეს საჭმელებზე... თბილისი ძალიან კულტურული ქალაქია, სადაც ბევრი თეატრი, მუზეუმი, გალერეა მუშაობს. ქუჩებში ისეთ სასიამოვნო და საინტერესო სცენებს ნახავთ, რომ მათ გადასაღებად, როგორც ადრე ამბობდნენ ხოლმე, „ფოტოაპარატში ფირი არ გეყოფათ“. აქ არის ბევრი ადგილი, სადაც გეგონებათ, რომ დრო გაჩერებულია: ძველი თბილისი ძალიან მომხიბლავია. აუცილებლად უნდა დაათვალიეროთ აბანოთუბანი, სადაც აბანოებში ბუნებრივად თბილი გოგირდიანი წყლები მოდის. თბილისის სახელწოდებაც აქედანაა...

**გალინა ტეტერინა,**
**„ნაშა ნაზეტა“, ნოვოროსიისკი**

---

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გაბრიელაშვილის და ომარ ზაქაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გაბრიელაშვილი (პ/ნ 16001026635), დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
დუშეთი, რადიოსადგურის დასახლება №5, კორპუსი 2, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 71.56.11.018.01.009).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ ზაქაიძე (პ/ნ 65404000594), დუშეთი, ერეკლე II ქ. №109;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
დუშეთი, ერეკლე II ქ. №109 (საკადასტრო კოდი: 71.51.02.286).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 15413.06 ლარი.
4. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 30 მაისი, 17:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** ი/მ „ლევან სალუქვაძე“ (პ/ნ 33001026225), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა

კორპუსი, ბინა №68;

ნუგზარ შარაბიძე (პ/ნ 23001000020), თბილისი, გლდანის 3 მ/რ, კორპ. 13, ბინა №35;

გიორგი ზაქაიძე (პ/ნ 16001007053), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109;

შპს „გაბრო“ (ს/კ 429320727), დუშეთი, მწითურის 49;

შპს „ულუ“ (ს/კ 437062081), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 30 მაისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

---

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ფილიმასკა.ჯი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ფილიმასკა.ჯი“ (ს/ნ 205275986), ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12 (საკადასტრო კოდი: 02.07.01.379).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 1 275 426,27 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის თანხა შეადგენს 194 557 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2018 წლის 8 მაისი, 12:00 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
5. **მოვალე:** შპს „ფილიმასკა.ჯი“ (ს/ნ 205275986), ქ. რუსთავი, მშვიდობის ქ. №12;

შპს „ჯეოპელი“ (ს/ნ 405103150), ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №23;

ნიკოლოზ ჩიქოვანი (პ/ნ 01009009175), ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №51, კორპუსი 8, ბინა 42;

დავით კურცხალია (პ/ნ 01010006336), ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-3 მ/რ, მე-2 კვ, კორპუსი 1, ბინა №16;

ვახტანგ ნიკოლეიშვილი (პ/ნ 65002005396), ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №23.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2018 წლის 8 მაისის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

◎ ჩოგბურთი

# მოგებით დაიწყო



**საქართველოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე პირველი შეხვედრა მოიგო.**

მან იტალიელი პაოლო ლორენცი 6:4, 6:2 დაამარცხა. მატჩი საათსა და 23 წუთს გაგრძელდა. ჩვენებურმა საუცხოოდ ითამაშა, 5 ეისი ჩააწოდა და 10 შესაძლებლობიდან სამი ბრეიკი შეასრულა. ურთიერთშეხვედრებში ნიკოლოზმა ანგარიში 1:1 გახადა.

ტურნირის 1/8-ფინალში ქართველი ჩოგბურთელი კანადელ დენის შაპოვალოვს შეხვდება.

**ბექან დოლიძე**

◎ წავიდა

# ჰაბანამ კარიერა დაასრულა



**სამხრეთ აფრიკის ნაკრებისა და „ტულონის“ გარემარბმა, ჯონა ლომუსთან ერთად მსოფლიო თასის საუკეთესო მელელოვემ ბრაიან ჰაბანამ მოთამაშის კარიერა ოფიციალურად დაასრულა.**

34 წლის ვარსკვლავი მთელი სეზონის განმავლობაში ებრძოდა მუხლის ტრავმას, მაგრამ მას ვერაფერი მოუხერხა და ბუცების ლურსმანზე დაკიდება გადაწყვიტა.

„ეს იყო იმედისა და მცდელობების ერთი წელიწადი. მოედანზე დაბრუნების უდიდესი სურვილი მქონდა, რათა კიდევ ერთხელ განმეცადა გამარჯვების სიტკბო ან მარცხით გამოწვეული იმედგაცრუება. კარიერის სხვაგვარად დასრულებაზე ვოცნებობდი, თუმცა, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა“ — განაცხადა 2007 წლის საუკეთესო მორაგბემ.

ჰაბანას ანგარიშზე 126 სანაკრებო მატჩი და 67 ლელოა. 2013 წლიდან ის „ტულონის“ ღირსებას იცავდა და 66 შეხვედრაში 23 ლელო გაიტანა, მანამდე კი სუპერ რაგბის 118 მატჩში თავი 56-ჯერ გამოიჩინა.

**კობა კობახიძე**

◎ 64

# ნოვატორული მიგნებით

**რიხარდ რეტი (1889-1929) — დიდოსტატი, თეორეტიკოსი, საჭადრაკო კომპოზიტორი და ლიტერატორი. მან დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო საჭადრაკო ხელოვნების განვითარებასა და ნახევრადღიახურული დებიუტების დამუშავებაში. თეორიულად დაასაბუთა ახალი სადებიუტო სისტემა, რომელიც რეტის სახელითაა ცნობილი. ვაჟთა I მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე თამაშობდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების პირველ დაფაზე.**

არაორდინარული სვლებით რეტის განცვიფრებაში მოჰყავდა მეტოქეები. ამის დადასტურებაა კაპაბლანკასთან მოგებული პარტია (1924, ნიუ-იორკი). სან-პაულოში (1925) რეტიმ თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — დაფაზე დაუხედავად ეთამაშა 29 კვალიფიციურ მოჭადრაკეს, რომელთაგან 20 მოიგო, 7 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ 2 წააგო.

I დიაგრამაზე რეტის ცნობილი ეტიუდი გამოირჩევა სისადავით და ღრმა შინაარსით, თეთრი მეფე თითქმის ვერ ეწევა წინ გაჭრილ პაიკს, მაგრამ ნოვატორული მიგნებით შორეული თეთრი პაიკი შუქურასავით გზას უნათებს მოკავშირეს გრძელი მანძილის მოკლედ გადაადგილებაში!

II დიაგრამაზე შავების მატერიალური უპირატესობის მიუხედავად, თეთრები გონებამახვილური ტაქტიკური სვლებით აიძულებენ მეტოქეს, ყაიმს დათანხმდეს.

**მოამზადა**
**თამაზ შენგელიამ**

**I. რ. რეტი**
**1921**



ეტიუდის მიხედვით „დაე ორ კურდღელს გამოეკიდები — ერთს დაიჭერ.“
1. ...h5 2. მფg7, h4 3. მფf6 h3
4. მფe6 h2 5. c7 მფb7 6. მფd7 ყაიმი

**II. რ. რეტი**
**1928**



1. მფh5 კg7 2. g4 მფf6 3. g5! hg
4. g4 კh8 5. მფh6 კg7 6. მფh5
პოზიციური ყაიმი ან ზავი 6...კf8-ის შემდეგ

◎ ლეგიონერი

# ორმაგი დუბლი „ფენერბახჩესთან“

**ევროლიგის პლეი-ოფში სტამბოლის „ფენერბახჩესთან“ სერიაში სხვაობა შეამცირა „სასკი ბასკონიამ“, რომელმაც მოქმედ ჩემპიონს საკუთარ მოედანზე დაძაბულ ბრძოლაში 88:83 აჯობა.**

ამრიგად, ვიტორიელებმა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ კიდევ დაიტოვეს — 1:2. აღნიშნულ გამარჯვებაში საკმაო წვლილი შეიტანა ბასკთა ქართველმა კაპიტანმა თორნიკე შენგელიამ, რომელმაც ორმაგი დუბლი გაიფორმა.

თორნიკე თანაგუნდელთა შორის ერთადერთი იყო, ვინც ამის გაკეთება მოახერხა, ხოლო უშუალოდ მატჩში მის გარდა მხოლოდ იან ვესელიმ უწია „დაბლ-დაბლს“ (17 ქულა, 10 მოხსნა). რაც შეეხება „ბასკონიას“ „ჯვაროსან“ ლიდერს — 25 წუთში შენგელიამ 10 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

თორნიკემ 10-დან 4 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო ერთი სამქულიანი ააცილა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტმა 15 შეადგინა.

მეოთხე მატჩი დღეს ისევ ვიტორიაში გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**



◎ ვარსკვლავი — ვარსკვლავზე

# ჯერარდის აზრით




**„ლივერპულის“ ყოფილმა კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური სერიის პირველი მატჩის შემდეგ: „ლივერპული“ — „რომა“ (5:2), მუჰამედ სალაჰის შესახებ ისაუბრა.**

„დღეს ეგვიპტელმა კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. რთულია ის რონალდუსა და მესის შევადარო, რომლებიც წლების განმავლობაში ბრწყინავენ, მაგრამ ამ ეტაპისთვის, ფაქტია, რომ სალაჰი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია, რაშიც ეჭვიც არ მეპარება“, — განაცხადა ჯერარდმა.

იტალიელებთან მოგებულ შეხვედრაში „ფარაონმა“ 2 ბურთი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემა შეასრულა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ლამაზმანი ვლადიკავკაზიდან

# იმრავლეთ, ხეთაგუროვებო!



**ვისაც ჰგონია, რომ გვარი ხეთაგუროვი მხოლოდ კოსტა ხეთაგუროვთან ასოცირდება, ძალიან შემცდარა, რადგან ამ გვარის სხვა ადამიანი დღეს იმ დიდ წინაპარზე არანაკლებ პოპულარული ვინმე გახლავთ და იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ დღეს კოსტაზე ბევრად ცნობად სახედაც მიიჩნევა.**

საუბარია ოს მოდელ სვეტლანა ხეთაგუროვაზე, რომელიც ორი წლის წინათ ვლადიკავკაზში „მის ალანია“ გახდა და ეს ოსური ხაბიზგინივით გემრიელი ასული მალევე გაიცნო ჯერ რუსეთის, შემდეგ კი ევროპის სამოდელო საქმეში ჩახედულმა ხალხმა. გაიცნო და ახლა სვეტლანას დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებენ.

სვეტლანა ხეთაგუროვა ფრენბურთითაა გატაცებული და სპორტის ამ სახეობას ბავშვობიდან მისდევდა. მას ასევე ჰყავს უმცროსი და, რომელიც ფრენბურთს პროფესიულ დონეზე თამაშობს. როგორც ჩანს, ხეთაგუროვები ყველაფერში ნამეტნავად ნიჭიერი ხალხია.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ხსოვნა

# გიორგი შაყულაშვილი



ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა რიგებს გამოაკლდა ქართული თურქოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი შაყულაშვილი**.

იგი 1930 წლის 18 იანვარს თბილისში დაიბადა, სკოლის დამთავრების შემდეგ 1951 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის თურქოლოგიის განყოფილებაზე. შემდეგ იგი ამთავრებს ასპირანტურას აკადემიკოს სერგი ჯიქიას ხელმძღვანელობით და 1968 წელს იცავს საკანდიდატო, ხოლო 1991 წელს სადოქტორო დისერტაციებს. დაარსებიდან (1960 წლიდან) სიცოცხლის გასრულებამდე აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელია.

გიორგი შაყულაშვილი იკვლევდა XVIII საუკუნეში აღმოსავლეთიდან ქართულ სინამდვილეში შემოსულ აშუღურ პოეზიას, რაც დამკვიდრებისთანავე გულისხმობდა როგორც კონკრეტულ სალექსო ფორმას, ასევე თავისებურად სტილიზებულ კილოს. ქართული ყოფისა და მწერლობისათვის ამ სრულიად ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის საფუძვლიან კვლევას გიორგი შაყულაშვილმა ექვსი მონოგრაფია მიუძღვნა.

იგი ფილოლოგი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ამავდროულად დაკვირვებული ლინგვისტის ალღოთი იკვლევდა ქართულში დამკვიდრებულ თურქულ-აზერბაიჯანულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკურ ერთეულებს. გიორგი შაყულაშვილი ერთნაირად წარმატებული იყო როგორც ქართული ენის, ასევე ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლისა და სწავლების საქმეში.

წლების განმავლობაში გიორგი შაყულაშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ქართველ და აზერბაიჯანულენოვან სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს ქართულ–აზერბაიჯანული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

მნიშვნელოვანია მისი თანამშრომლობა თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მას მიყავდა თურქული ენისა და ლიტერატურის ისტორიის კურსი. ამავე უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელობით სადოქტორო დისერტაციები თურქულ ლიტერატურაში დაიცვა ერაყის ქალაქ ბაღდადის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე მეცნიერ-თანამშრომელმა.

გიორგი შაყულაშვილი ეწეოდა ნაყოფიერ მთარგნელობით საქმიანობას, ქართველ მკითხველს აცნობდა თურქი და აზერბაიჯანელი მწერლებისა და პოეტების შემოქმედებას. სამ ერს შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში გაწეული ღვაწლის გამო აზერბაიჯანის მთავრობამ მას მიანიჭა აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გიორგი შაყულაშვილი იყო უზადო მკვლევარი ძველი თბილისის პოეზიისა და სამუსიკო ტრადიციებისა. მნიშვნელოვანია მისი კვლევები საიათნოვას პოეზიაზე.

გიორგი შაყულაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ენციკლოპედიასთან, სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, იყო გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი.

მას მჭიდრო სამეცნიერო თანამშრომლობა ჰქონდა ვენეციის უნივერსიტეტთან.

გიორგი შაყულაშვილი ავტორია 60-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 6 მონოგრაფიული ნაშრომისა ქართული, თურქული და აზერბაიჯანული ლიტერატურის შესახებ.

21 აპრილს იგი ყველას წინაშე ვალმოხდილი ცათა სასუფეველში გარდავიდა.

მოყვასზე მზრუნველი ადამიანი, უღალატო კოლეგა, შესაშური ინტელექტისა და ერუდიციის მქონე, იუმორით აღსავსე, სანიმუშო მეუღლე, მამა და პაპა, თავაზიანი, უაღრესად მოკრძალებული, კეთილშობილი ინტელიგენტი — ასეთი დაამახსოვრდება იგი კოლეგებს, მოწაფეებსა და ახლობლებს.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,**
**გიორგი წერეთლის**
**აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი**

# ბოლო 4 თვეში ნარკოდანაშაულისთვის 754 პირი დაისაჯა

**როგორც გუშინ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, მათ შორის 394 პირი დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ასევე რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს.**

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღებაში და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ბრალდებული 1 პირი სამართალდამცველებმა იმერეთში დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის" 780 აბი, 6 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ჰაშიში", 51 საბრძოლო ვაზნა და 15 ათასი ლარი, რომელიც ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციის შედეგად არის მიღებული.



* * *

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოში ნარკოდანაშაულისთვის ირანის 6 მოქალაქე დააკავა.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში ნარკოდანაშაულისთვის ირანის 3 მოქალაქე დააკავეს. პოლიციამ დაკავებულების ფეხსაცმელების ძირებში დამალული 6 შეკვრად დაფასოებული 1 კილო და 120 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღო.**

**პოლიციელებმა, თბილისსა და ბათუმში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ირანის კიდევ 3 მოქალაქე დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, 647,34 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. ასევე, ნივთმტკიცებად ამოღებულია ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ გადამალული 290 გრამი ჰეროინი. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულიც 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს",** — განაცხადა ჭელიძემ.

## სანთელი



გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, სპარტაკ ქობულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლებთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დაუვიწყარი გურამ ფანჯიკიძის ღირსეული მეუღლე, გამოჩენილი ლიტერატორი და მთარგმნელი, რომელმაც გერმანული კლასიკური ლიტერატურის მაღალოსტატურად თარგმნილი არაერთი შედევრი გააცნო ქართველ მკითხველს, პროფესორი, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ერთ-ერთი პირველი ლაურეატი

### დალი კოკაია-ფანჯიკიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის დიდ ოჯახს.

---

ინესა მერაბიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის კათედრა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი მთარგმნელისა და თარგმანმცოდნის, პროფესორ

### დალი ფანჯიკიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

## სულთათანა

# ვახტანგ (ჯიმი) მურვანიძე



„წამია წუთისოფელი, ჩიტივით გაგვიფრინდება"... და მართლაც რამდენიმე წუთში ჩაიფერფლა მისი სიცოცხლე, „ღმერთსაც კარგი უნდაო" და წავიდა ჩვენგან კარგი მეუღლე, კარგი მამა, მოსიყვარულე ბაბუა და კაცური კაცი.

შენ დააკლდი არა მარტო ოჯახს, არამედ მეგობრებს, რომლებიც უშენოდ არაფერს წამოიწყებდნენ.

დააკლდი შენ მშობლიურ სოფელს, რომელიც უზომოდ გიყვარდა, უვლიდი და ცდილობდი, მეოჯახე კაცის ხელი არ დაკლებოდა.

უპრეტენზიო, მუდამ მოფუსფუსე, გვერდში მდგომი დაამახსოვრდები ყველას. დიდი ტკივილი და მოუშუშებელი იარა დაუტოვე მეუღლეს, ვისთანაც თანაცხოვრების 50 წლის იუბილე ნოემბერში უნდა გეზეიმა.

გაუსაძლისი, ტკივილიანი, კოშმარული 40 დღე გავიდა, უსასრულოდ გრძელი და დაუსრულებელი.

ძალიან ძნელია წარსულში შენი ხსენება ჩვენო საყვარელო, მუდამ მშვიდო, უთქმელო, უწყინარო ადამიანო! გაგვიჭირდება უშენოდ ჩვენო დიდო ადამიანო. უკვე გვენატრები ყველას! შენს შვილიშვილებს არასდროს დაავიწყდები, ალალი იყოს მათი უმანკო ცრემლები შენთვის!

შენთან ურთიერთობა მაინც გრძელდება, რადგან ამ ურთიერთობაში დიდი სევდა და მონატრებაა ჩადებული. შენი არყოფნის და უდროოდ წასვლის სევდა, სევდა, რომელიც არასოდეს განელდება.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული!

ღმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი!

მეუღლე **თამარ ანთაძე,**
შვილები **კობა, კახა მურვანიძეები,**
რძალი **ქეთი ძეგლიგაშვილი,**
შვილიშვილები **თათა, თეკლა, გეგა მურვანიძეები.**

---

გურამ გუნავა იუწყება კეთილშობილი პიროვნების

### ნანი გერმანეს ასული ქვარცხავა-ტურძელაძის

გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაუგრძნობს მეუღლეს ემზარ ტურძელაძის და ძმა ჯიმი ქვარცხავას ოჯახებს.

---

მარინე, შალვა, გიორგი, დავით ნაჭყებიები უდიდესი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, უკეთილშობილესი მეოჯახისა და ღირსეული მეგობრის

### გოჩა რატიანის

მოულოდნელ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელში ამყოფოს უფალმა ბატონი გოჩას სული.

# გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო, თქვენს მსოფლიო დღეს გილოცავთ!

**26 აპრილი ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო დღეა.** საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება ყველა გამომგონებელს და რაციონალიზატორს გილოცავთ ამ შესანიშნავ დღეს, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ და თავიანთი მიზანსწრაფული შრომით ხვალინდელ დღეს უკეთესობისკენ შეცვლიან.

# ვულოცავთ

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები **რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი** დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, საქართველოს საინჟინრო-ტექნიკური ინტელიგენციის გამორჩეულ წარმომადგენელს, საკავშირო სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების „თბილისის ელექტრო ამძრავის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს, კაცობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატს, უკეთილშობილეს პიროვნებას, ბატონ

**გაიოზ გალდავაძეს.**

## თურქმენეთში ვიწრო კაბები აკრძალა



თურქმენეთში ვიწრო, ტანზე გამოყვანილი კაბების ტარება აიკრძალა, ეს არის დაუწერელი კანონი, მასთან ერთად, კონტროლის ქვეშ მოხვდა ოფიციალურად დაუქორწინებელი წყვილების სექსუალური ცხოვრება. ამის შესახებ წერს სააგენტო „თურქმენეთის ალტერნატიული ამბები“. მედიის ცნობით დაშვებულია გრძელი, პირდაპირი სილუეტის კაბები, რომლებიც ფეხებსა და ხელებს ფარავს.

# „საჭმელი“ წყალი



**ჰოლივუდში ახალი სახეობის დიეტა შეიმუშავეს, რომლის დაცვით ერთდროულად წონის დაკლებაც შეიძლება და კანის დანამვაც.**

მისი შემქმნელი დიეტოლოგი დარწმუნებულია, რომ სასურველი ეფექტის მისაღებად უმჯობესია წყლის არა სმა, არამედ... „ჭამა“. საამისოდ კი საჭიროა დღეში რვა ულუფა „სველი“ ბოსტნეულისა და ხილის, მათ შორის კიტრის, ფურცლოვანი სალათის, კომბოსტო ბროკოლის, საზამთროსა და ციტრუსების ჭამა, რომლებიც ორგანიზმს სითხისა და სასარგებლო ნივთიერებათა საჭირო ოდენობით უზრუნველყოფენ.

# როცა მჯდომარე სამუშაო გაქვთ

**ჩვენს დროში მრავალი პროფესიის ადამიანთა სამუშაო დროის უმეტესი ნაწილი ოფისებში გადის, სადაც სამუშაო დღის მნიშვნელოვან ნაწილს ისინი ერთ გარკვეულ პოზაში ატარებენ ხოლმე.**

ეს ეხება კომპანიებისა და ბანკების თანამშრომლებს, პროგრამისტებს, მძღოლებს, მრავალ სხვას, რის შედეგად მათ ოსტეოქონდროზი ემართებათ, რა დროსაც ხერხემლის არტერიაში სისხლის მიმოქცევა ირღვევა, მალებშუა ხრტილების დისკოების გაუწყლოება და დათხელება ხდება. ამის შედეგად ხერხემლის ყველაზე სუსტ კისრის ან წელის მალებში ძლიერი ტკივილები იწყება.

ამ დროს **არასწორია**: ფეხის ფეხზე შემოდება, ან წელში მოხრილი, საზურგეზე მიყრდნობის გარეშე ჯდომა, ყურთან და მხართან ერთდროულად მიდებული ყურმილით ტელეფონზე საუბარი და ერთდროულად რაღაცის ჩანიშვნა.

**სწორია:** სამუშაო ადგილზე სავარძლის საკუთარ სიმაღლეზე დაყენება, მუშაობისას წელში გამართული და სავარძლის საზურგეზე მიყრდნობით ჯდომა. ამ დროს სასურველია, ის მაქსიმალურად უქმნიდეს საყრდენს კისერსა და წელს, მუშაობის პროცესში პაუზების, საგანგებო ვარჯიშების, ანდა საკუთარი ხელით მასაჟის გაკეთება.




# გასაცინებელი ა(მ)ბები

## უმტკივნეულოდ

— იასონ, ნუ თამაშობ ჩაქუჩით, თითზე დაირტყამ და გეტკინება!

— არ მეტკინება, ლურსმანი ანიას უჭირავს!

## მომთმენი მსმენელი

— დიდი ხანია, რაც ვიოლინოზე უკრავთ?

— ექვსი წლიდან.

— ოჰო! სწორედ ის დროა, თავს რომ ანებებდეთ.

## დუმილი ოქროა

— შეხე, დედიკო, ამ ბიძიას ერთი ღერი თმა არა აქვს თავზე.

— ეგრე ხმამაღლა ნუ ამბობ, ბიძია გაიგონებს.

— შენ რა, ფიქრობ, რომ მაგან თავისი თმის ამბავი არ იცის?!

## ზეგანაკვეთური სამუშაო

— კოვალსკი ბიუროკრატი და უსაქმურია, არასდროს უმუშავია.

— რას ამბობთ, ორშაბათობით?

— რა ორშაბათობით?

— ორშაბათობით კალენდრიდან ერთბაშად ორი ფურცლის ჩამოხევა უწევს.

## სიმაღლე დაბრკოლება არ არის

— დიდი სიამოვნებით მიგიღებდით ჩვენს უნივერმაღში, მაგრამ ძალიან დაბალი ხართ გამყიდველობა გაგიჭირდებათ.

— პირიქით, მე დახლქვეშიდან გაყიდვა შემიძლია.

## მაიმუნი

— დედიკო, მიყიდე რა, მაიმუნი!

— ეგ მეორედ აღარა თქვა! რა უნდა აჭამო?

— მაშინ ზოოპარკის მაიმუნი მიყიდე, იქ განცხადება კიდია: „მაიმუნებისთვის „ჭმევა“ აკრძალულია.

## მოდის ძალა

მისის პარკერი სილამაზის სალონიდან დაბრუნდა, სადაც მოდაზე მოკლედ შეკრიჭეს თმა.

— ბებერ ლედის სულ აღარა ვგავარ, რას იტყვი? — პრანჭვით ჰკითხა მან ქმარს.

— ნამდვილად, — დაეთანხმა ქმარი — ახლა, ძვირფასო, ბებერ ჯენტლმენს დაემსგავსე.

## თავაზიანობა

— მადლობა საჩუქრისთვის, დეიდა!

— არა, რას ამბობ, სამადლობელი სულაც არ არის.

— მართალს ამბობთ, მაგრამ დედამ მითხრა, მადლობა აუცილებლად უთხრასო.

## ეშმაკის რიცხვი

— შენ მაგიდასთან მეცამეტე იყავი. ეს ცუდის ნიშანია. არ გეშინია?

— არა! ორის მაგივრად ვჭამდი.




— შეიძლება, უფროსო, ცოტა ხანს ჩამოვჯდე?
— ნუ ჩქარობ, ამხანაგო, კიდევ დიდხანს მოგიწევს ჯდომა...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 28 აპრილს**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4791; ევრო - 3.0282;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4564;
100 რუბლი - 4.0254; თურქული ლირა - 0.6068;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4632;
1000 სომხური დრამი - 5.1327.

**ამინდი 26 აპრილისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +3, | დღე +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე 0, | დღე +25 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +7, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +3, | დღე +26 |
| თბილისი: | ღამე +8, | დღე +27 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge